„სამშობლო"

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 15 (271). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 13 აგვისტო

● ამ დღეებში თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა დიდი ქართველი ფიზიოლოგის, სახელოვანი მამული-შვილის ივანე თარხნიშვილის ძეგლი.

ძეგლის ავტორია მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი.

დღეს ჩვენი გაზეთის მეოთხე გვერდზე გთავაზობთ ნარკვევს მოქანდაკეების — მამა-შვილ კონსტანტინე და მერაბ მერაბიშვილების შესახებ.







იონერული ზაფხული

დასასრულს უახლოვდება. ათასობით ბავშვმა გაიკაჟა სხეული საქართველოს შესანიშნავ კურორტებზე. თუ როგორ ისვენებდნენ შოთა რუსთაველის სახელობის მიუსერის პიონერთა ბანაკის მკვიდრნი, რომელთა ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი ამ სურათზეა აღბეჭდილი, შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთის მეორე გვერდზე.

გრიგოლ აბაშიძე

ოქროს ვენახი

უქრობი შუქით შემოსილს გხედავ,
შენი მზის ჩასვლა ნუმც დამენახოს,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.
მზეც მიყვარს,
ჩრდილიც ამ მთაგორების,
მდინარეების ჩქარი დინებაც,
ჩემი სიმღერის და შთაგონების
შენ ხარ ფესვიც და დაგვირგვინებაც.
შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
სულის სიმაღლევ, გულის ნათელო,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო.
და როცა კრძალვით შენს ქებას ვბედავ,
გულის ძაფებს მაურს ხელი შეგახო,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო!

საუკუნის თანატოლი

სექტემბრის ზარი ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდის საშუალო სკოლაში წლეულს მეასედ აწკრიალდება.

საუკუნის თანატოლ სკოლაში ბევრ სახელოვან ადამიანს უსწავლია. ერთ-ერთი მათგანია საჭოთა კავშირის გმირი სერგო ჭილაძე, რომლის სახელსაც სკოლა ატარებს. ამ სკოლაში სწავლობდა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მიხეილ გიორგაძე.

იუბილესთან დაკავშირებით ზოდის საშუალო სკოლის პედკოლექტივმა გადაწყვიტა შექმნას სკოლის ისტორია. ახლა სკოლის სახელზე ხშირად გზავნილ ბარათებს ისინი, ვინც ზოდის საშუალო სკოლაში ცწყიდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მის კედლებში სწავლობდა. მათი მოგონებები, საოჯახო ალბომში შერჩენილი სურათები, რომლებიც იქ გატარებულ წლებთან არის დაკავშირებული, სკოლას დიდ დახმარებას გაუწევს წარსულის აღდგენაში.

გიორგი აბაშიძე

ვაჟკაცობა ლაფანყურში

ლოკოტის ულამაზეს ხეობაში მდინარის პირას შეფენილია სოფელი ლაფანყური. ხანგრძლივი ისტორია როდი აქვს თელავის რაიონის ამ დასახლებულ პუნქტს. სამოცდაათიოდე წლის წინათ გაჭირვებას მოუყვანია აქ ფშავის ხევიდან რამდენიმე ოჯახი, სახელდახელოდ აუგიათ ჭოხმახები და თავი შეუფარებიათ. ფშაველებს მოსწონებიათ გარემო, მიწაც ბარაქიანი ყოფილა, ვაჟა-ფშაველას დახმარებით კიდევ რამდენიმე კომლი გადმოსახლებულა და ეს ადგილი სოფლად ქცეულა.

ახლა ლაფანყური რაიონში ერთ-ერთი შეძლებული და კეთილმოწყობილი სოფელია.

ლაფანყურელ ფშაველებში დიდხანს იყო ფეხმოკიდებული რელიგიური დღესასწაული „ხატობა", მაგრამ ვაჟას მადლიერმა სოფელმა აღარ ინდომა დრომოჭმული ჩვეულება და ვაჟა-ფშაველას პატივსაცემად, ახალი საზეიმო დღე დაუწესა **ვაჟაობა**.

სოფლის განაპირას მდინარე ლოკოტის გასწვრივ გაშენებულ ვაჟასავე სახელობის კაკლის ჭალაში ყოველი წლის ივლისის ბოლოს იკრიბება ხალხი და დიდ დღესასწაულს მართავს.

ამ დღეებში ვაჟას ჭალა მეოთხედ გახდა დიდი სახალხო ზეიმის მოწმე. კაკლის ხეების ფონზე მოზეიმე ხალხს თავს დასტრიალებდა ვაჟას დიდი პორტრეტი. გრილ ჩრდილებში შეკრებილთ ცეკვა-თამაში გაემართათ. კაფიაობაში, ვაჟას ლექსების თქმაში ერთმანეთს ეცილებოდნენ ხანდაზმულები და ახალგაზრდები, სტუდენტები და მოსწავლეები.

საზეიმო შეკრების შემდეგ ვაჟას ჭალაში გაიმართა დიდი კონცერტი და სპორტული შეჯიბრება.

გაგრძელდა თბილისში...

თბილისში სტუმრად ჩამოვიდა მოსკოვის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეთა ჯგუფი.

სტუმართა შორის იყვნენ კინემატოგრაფისტები საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სენეგალიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

სტუმრები შეხვდნენ ქართველ ჟურნალისტებს, ჩვენი დედაქალაქის კინომოყვარულებს, ნახეს ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა", მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ამომავალი მზე".

კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ფესტივალის მონაწილეები ესაუბრნენ ქართველ კოლეგებს, ნახეს მიხეილ კობახიძის ფილმები „მუსიკოსები" და „ჭოლგა". სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთა, იყვნენ მიხეილ მაშულაშვილის ბაღში.

მოსკოვის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალზე ნაჩვენებ ფილმებს, რომელთა დემონსტრირება თბილისის ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო, ქართველი მაყურებელი ინტერესით შეხვდა.

გათუმის საერთაშორისო

ბათუმში 9 აგვისტოს გაიხსნა ახალგაზრდობის საერთაშორისო სამმხრივი ტრიბუნული შრომითი ბანაკ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა „მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ახალგაზრდობის უფლებებისათვის ბრძოლის აქტუალურ პრობლემებს". სემინარის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა ახალგაზრდობის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კვაკერთა ორგანიზაციების 24 წარმომადგენელი. მათ შორის არიან ახალგაზრდა მუშები მეცნიერები, პედაგოგები, მედიკოსები, სტუდენტები, ჟურნალისტები.

ბათუმელ მეზღვაურთა კლუბის ინტერნაციონალურ სექტორში გაიმართა ბათუმის ახალგაზრდობისა და სემინარის მსმენელთა შეხვედრა. ისინი მიიღო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დავით დიასამიძემ.

ბათუმის საერთაშორისო სემინარი ორ კვირას გაგრძელდება. მისი მონაწილენი იმუშავებენ ხალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებსა და სხვა მეურნეობებში, ეწვევიან ბათუმის ფაბრიკებსა და ქარხნებს. შეხვდებიან ახალგაზრდა მუშებსა და მეცნიერებს კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს, გამართავენ დისკუსიებს საერთაშორისო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე.

ასე სჯდებიან ყოველ ბანთიაღს



წელს საქართველოს პროფკავშირების 115 პიონერთა ბანაკში 83 ათასი ბავშვი დაისვენებს. მოსწავლეები თავიანთ არდადეგებს ატარებენ გაგრაში, გუდაუთაში, ბორჯომში, ბაკურიანში, ცემში, კოქეთსა და საქართველოს სხვა საკურორტებზე. სულ ბავშვთა დასვენებას ამ ზაფხულს 3,5 მილიონი მანეთი მოხმარდება. პიონერთა ბანაკში ყოველი ბავშვის 26 დღით დასვენება სახელმწიფოს 52 მანეთამდე უჯდება, პროფკავშირები კი ამ საგზურებს 18 მანეთად და სამ აბაზად ჰყიდიან, მაგრამ ამ ფასად ყოველი 100 საგზურიდან მხოლოდ 40 ცალი იყიდება. 50 საგზურში მშობლები 9 მანეთს იხდიან, დანარჩენი 10 ცალი მათ უფასოდ ეძლევათ. განსხვავებას ფასში, როგორც წესი საწარმო-დაწესებულებათა პროფკავშირები იხდიან. კურორტზე მიმავალ ბავშვებს თან მიჰყვებათ პედაგოგები, მწვრთნელები, ექიმები...

ასე აგვიწერა „პიონერული ზაფხული — 71“ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ნათელა ვასაძემ, თან გვითხრა — რომელსამე ბანაკს ეწვიეთ, თვითონ ნახეთ, როგორ ატარებენ მოსწავლეები არდადეგებსო.

ჩვენი არჩევანი მიუსერის შოთა რუსთაველის სახელობის პიონერთა ბანაკზე შეჩერდა.

ქვანელ აფეთქებული მთების სიჩუმე საყვირის გაბმულმა ხმამ დაარღვია. წუთიც და მიდამოს ნორჩთა ქივილ-ხივილი მოედო. სპორტულ მოედანზე სიმაღლის მიხედვით 400 ბავშვი ჩამწკრივდა.

— სმენა! მარჯვნისაკენ! სირბილით, იარ!... განკარგულებას იძლევა მწვრთნელი და შორიახლო მდგომ მორიგეს ანიშნებს, რეპრო-დუქტორები ჩართეო. სპორტულ მარშს აყოლილი ბავშვები უმატებენ სისწრაფეს. რამდენიმე წრე და სირბილს სიარული ცვლის, შემდეგ კი ვარჯიშზე გადადიან...

ასე ეგებება ზაფხულის ყოველ განთიადს მიუსერის პიონერთა ბანაკი, აფხაზეთის თვალწარმტაც სანაპიროზე, ზღვაში შეჭრილ მთის ფერდობზე რომ გაუშენებია მზრუნველ მარჯვენას.

ვარჯიშის შემდეგ მოსწავლეები პიონერულ ხაზზე მოეწყნენ. მასპინძელი — ბანაკის დირექტორი ავთანდილ ბაკურაძე დილის აღლუმში მონაწილეობის მისაღებად მიწვევს. პატაკს იბარებს უფროსი პიონერსელმძღვანელი დალი ბაკურაძე. წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები დროშის აღმართვის წინ ერთხმად იმეორებენ თავიანთი რაზმების დევიზს, ასე გულდაგულ რომ შეურჩევიათ, ასე საამოდ რომ ჟღერს — „გვიყვარდეს წიგნი — ცოდნის წყარო“, „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, „მეგობრობა გზად და ხიდად“, „ყოველი დილა იყოს უღრუბლო, ყოველი დილა იყოს მზიანი“...

პატაკი ჩაბარებულია, ბავშვები ყურადღებით ისმენენ დღის რეჟიმს: ბანაობა, შეჯიბრება ფეხბურთსა და ჭადრაკში, ლაშქრობა მთაში, 2-საათიანი ძილი, საღამოს ისევ ზღვის ტალღებში ნებივრობა, ჟურნალ-გაზეთებისა და საინტერესო წიგნების კითხვა, კინოფილმის ნახვა... აი რა ელოდებათ ამ დღეს მათ.

გარდა ამისა, დღის რეჟიმში არის კიდევ ერთი და მთავარი — ოთხჯერადი კვება. გამოცდილი მზარეულები ცდილობენ განაწესის ეს მუხლი არც ერთმა ბავშვმა არ დაარღვიოს. ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, — ამბობს ბანაკის უფროსმზარეული იური რეხვიაშვილი, — დედის სიტყვები, მონატრებულ შვილს გულში რომ ჩაიკრავს — როგორ გაზრდილხარ, როგორ გასუქებულხარო.

ზღვას პიონერებთან ერთად ვესტუმრე. გინახავთ ტალღებში 400 ბავშვის ერთად შეცურება? მართლაც რომ დიდებული სანახავია! ერთი წუთის წინათ უმოძრაო, მთვლემარე ზღვა ისე აიფოფრა, თითქოს ცხრაბალიანი ღელვის დაწყებას აპირებსო. ნაპირისაკენ სტუნვა-სტუნვით წამოსული ტალღები გულში იკრავდნენ ონავრებს. პიონერებმა ბანაობით გული რომ იჯერეს, ნაპირზე წამოწვნენ და სიხარულით, ბედნიერებით სავსე მკერდი მზეს მიუშვირეს. ექიმი გულნარა ნადარაია, თეთრხალათიანი ექთნები დაკვირვებით ადევნებენ ბავშვებს თვალყურს — არავინ დაიღალოს ცურვით, მზემ არავინ დასიცხოსო. ზღვაში ყირაზე გადასულთ კი დარაჯად „ზღვის ლომად“ წოდებული, მშველელი ალიოშა ხაბეიშვილი უდგას.

შუადღეზე ბანაკში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. არ სძინავთ მხოლოდ აღმზრდელებს. დალი ბაკურაძე, ლოლა მეძმარიაშვილი, ნიკოლოზ აბაიშვილი, ლუბა ვაპოლსკაია და სხვები პიონერთა ოთახში შეკრებილან. ამჯერად მათი მსჯელობის საგანია კარზე მომდგარი ტრადიციული დღესასწაული „ნეპტუნის დღე“. რაზმებს შორის განაწილდა ფუნქციები, დაზუსტდა მსვლელობის მარშრუტიც და მოსაწვევი სტუმრების სიაც.

ნაშუადღევს ბავშვების ერთმა ნაწილმა ზღვას მიაშურა, მეორე და მესამე რაზმის ფეხბურთელებმა კი ბანაკის პირველობაზე მორიგი მატჩი გამართეს. ელიკო გვახარია, ბესიკ აბზიანიძე, მამუკა მოისწრაფიშვილი, მიხეილ ჩერნიშოვი, ზაალ თევზაძე პიონერთა ოთახში ჭადრაკის დაფებს მიუსხდნენ.

მეოთხე რაზმის პიონერებმა ტყეში გასეირნება გადაწყვიტეს. უხარიათ, ყველაზე მაღალი მთის წვეროდან მზის ჩასვლას ვნახავთო...

მარიკა სუპატაშვილმა გარშემო პოეზიის მოყვარულნი შემოიკრიბა და პიონერთა ბანაკში დაწერილი საკუთარი ლექსები წაუკითხა.

ჩამობნელდა. ბანაკის ტერიტორიაზე ლამპიონები აკიაფდა. ყველამ პიონერული კოცონის გარშემო მოვიყაროთ თავი. დიდხანს, ძალზე დიდხანს არღვევდა მთების მყუდროებას ბავშვთა ომახიანი მოძახილი, მათი ქივილ-ხივილი. შემდეგ კი ზღვაც და ხმელეთიც სიჩუმემ მოიცვა. ასე იყო გარიჟრაჟამდე. მზის ამოსვლას კი, როგორც ყოველთვის, ბანაკის მცვივდრნი — თბილისელი, ქუთაისელი, ფოთელი, მახარაძელი, გორელი, ცხაკაიელი, თელაველი, სამტრედიელი, წულუკიძელი, ონელი, ზესტაფონელი, ჭიათურელი ბავშვები საყვირის ხმით შეეგებნენ. და ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ გაისმა ნორჩთა ბრძანება — ყოველი დილა იყოს უღრუბლო, ყოველი დილა იყოს მზიანი!

ომარ მესხიშვილი.







სურათებზე: ზევით — მზე, ზღვა და ბავშვები; ქვემოთ (მარცხნიდან) — ნათელა ცინცაძე და ნუგზარ ხუბაევი სუფრას უშლიან მეგობრებს; ასფალტზე ხატვაში გამარჯვებულნი ნელი ჩიქვილაძე და იური სარქისოვი, ლილი მაღრაძე (მარჯვნივ), მარინე ბროლაძე და ჟდიშერ ბეჭუაშვილი ათვალიერებენ ქველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს.

ირაკლი პოხორელიძის ფოტოები

წინაპართა სამშობლოში

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი თურქი პოეტი ომერ ფარუკ თოფრაქი მეუღლითურთ. ისინი მოწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე მოსკოვში და შემდეგ საქართველოსაც ეწვივნენ.

— გამოგიტყდებით, საქართველოში ჩამოსვლა ძალიან გვინდოდა, განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს, — თქვა ჩვენმა სტუმარმა გამგზავრების წინ, — მეუღლის სურვილს კი, მოგეხსენებათ, ანგარიში უნდა გავუწიოთ. მით უმეტეს, რომ იგი წარმოშობით ქართველია, გვარად ათაბაგი.

როგორია ჩვენი შთაბეჭდილება? იგი, ალბათ, არ განსხვავდება ჩვენი თანამემამულეებისა და კოლეგების შთაბეჭდილებებისაგან. მათ ბევრი რამ მიამბეს საქართველოზე, ქართველ მწერლებზე და სასიამოვნოა, რომ ყველაფერი ეს ჩემი თვალით ვნახე. როგორც თურქმა პოეტმა, მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში იცნობენ თურქულ მწერლობას.

თურქი პოეტის მეუღლემ, ფირუზან ათაბაგმა განაცხადა:

— მე ქართველთა შთამომავალი ვარ და ცხადია, ძალიან მეწადა ჩემს წინაპართა სამშობლოში ჩამოსვლა. ეს ნატვრა შემისრულდა. დრამატურგი გახლავართ, უმთავრესად ვწერ პიესებს სტამბოლისა და ანკარის რადიოსათვის. ძალიან მინდა, რომ საქართველოს რადიომ, სადაც ასე გულითადად მიგვიღეს, დადგას ჩემი პიესა. დასასრულ, სინანული უნდა გამოვთქვა, რომ ქართულად ვერ გესაუბრებით. სამწუხაროდ, ბავშვობაში ვერ გამოვიჩინე იმდენი მუყაითობა, რომ კარგად მეგდო ყური ბებიისა და დედის ქართული საუბრისათვის...

თბილისში სტუმრად იმყოფებოდა კენიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბატონი მდივი. სტუმარი ეწვია და ესაუბრა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს შალვა კიკნაძეს.

ბახარაძეში ჩავიდნენ და რამდენსამე დღეს დარჩნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სურსათისა და კვების მრეწველობის მინისტრი ნგო მინ ლოიანი, კვების მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელები, სპეციალისტები. ისინი გაეცნენ ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, იყვნენ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სასურველი სტუმარი იყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვენელინ კოცევი.

ბულგარელმა სტუმარმა დაათვალიერა თბილისის ღირსშესანიშნაობანი.

მოკლედ

იაპონიის გუბერნატორთა ეროვნული საბჭოს დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს თბილისსაც ეწვია. სტუმრებს შორის იყვნენ იაპონიის გუბერნატორთა ეროვნული საბჭოს ვიცეპრეზიდენტი ტალასი ტიდა და გუბერნატორთა ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი იძუბი.

ლიდხანს ვიცნებობდი საქართველოში ჩამოსვლაზე, — თქვა საფრანგეთის ახალგაზრდობის, სპორტის განვითარებას საქართველოში.

სამ დღეს დაჰყვეს საქართველოში ურუგვაის პოლიტიკურმა მოღვაწემ გლაუკო სეგოვიამ და ურუგვაის პარლამენტის დეპუტატმა ნაზიმ აჩე ეჩარტმა.

— როცა შემოგვთავაზეს საბჭოთა კავშირში ყოფნის პროგრამა, ვთხოვეთ შიგ საქართველო შეეტანათ, განაცხადა გლაუკო სეგოვიამ, — საქართველოში მოგზაურობა მეტად საინტერესო იქნება ჩვენთვის. ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ცნობილია ღვინის, ციტრუსების, ჩაის მოყვარულნი ვართ და ამიტომ ძალიან მაინტერესებს, როგორ ხდება ჩაის მოსავლის აღება, დამუშავება.

ჯიევიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკის საჭალაჭო ტრანსპორტის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე ჰერბერტ დესიმონი. საბჭოთა კავშირში, კერძოდ საქართველოში, ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, — განაცხადა მან, — გავეცნოთ საჭალაჭო ტრანსპორტის განვითარებისა და ექსპლუატაციის დაგეგმვის პრაქტიკას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტებმა დაათვალიერეს მეტროპოლიტენის სადგურები, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს მცხეთაში.

კალისტრატე სალია

დაბადების 70 წელი

ჩვენს პარიზელ თანამემამულეს, ჟურნალ „ბედი ქართლისას“ დირექტორ-გამომცემელს პროფესორ კალისტრატე სალიას წლეულს 28 აგვისტოს 70 წელი უსრულდება.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია გულითადად ულოცავენ იუბილარს ამ შესანიშნავ თარიღს და უსურვებენ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, შემდგომ წარმატებებს მეცნიერულ და პატრიოტულ მოღვაწეობაში.

კავკასია ძველი ისტორიკოსების ცნობების გამოც იპყრობდა ევროპელ მეცნიერთა ყურადღებას.

ქართველოლოგიისადმი ინტერესი მათ განსაკუთრებით მას შემდეგ აღეძრათ, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღმოაჩინა ასეთი ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც უმდიდრეს ბიზანტიურ მწერლობაში დაკარგულად ითვლებოდა და ქართულ თარგმანებში შენახულა ან ქართულიდან თარგმნილა ბერძნულ ენაზე.

მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის ასეთმა აღმოჩენებმა, პროფესორი კორნელი კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყუმბარასავით იფეთქა სამეცნიერო წრეებში და ქართული მასალით ბიზანტოლოგებიც დაინტერესდნენ.

საჭირო გახდა ქართველმცოდნეობითი და კავკასიისმცოდნეობითი ბეჭდვითი ორგანო. ასეთი კიდეც დაარსდა ინგლისში — «Georgica»-ს სახელწოდებით. 1935-1937 წლებში გამოქვეყნდა მისი 5 ნაკვეთი სამ დიდ წიგნად. ორგანოს რედაქტორობდა ინგლისელი ისტორიკოსი და საქართველოს წარსულის მკვლევარი პროფესორი ალენი, მდივანი იყო 1911 წლიდან ლონდონში მცხოვრები ანდრია გუგუშვილი (გარდაიცვალა 1970 წელს).

ორგანოში იბეჭდებოდა როგორც ევროპელ, ისე საბჭოთა ქართველოლოგების ნაშრომები და ინფორმაციები.

1967 წელს ანდრია გუგუშვილი წერდა: «Georgica» შეგვიჩერა ომმა და განახლება ვეღარ მოვახერხეთ. მის მაგივრობას „ახლა ეწევა კალე სალიას «Bedi Kartlisa», („ბედი ქართლისა“).

ეს ჟურნალი 1957 წელს დაარსეს ცოლ-ქმარმა კალისტრატე (კალე) და ნინო სალიებმა. პირველი ორგანოს დირექტორია (ჩვენებურად რედაქტორი), მეორე კი — მდივანი.

ნინო და კალე სალიებს ჟურნალის დაარსებისათვის ძალზე მცირე სახსრები ჰქონდათ, მაგრამ მონდომებამ, ზოგიერთთაგან მხარდაჭერამ, რედაქტორის საერთო განათლებამ და ორგანიზაციულმა უნარმა სიძნელეები გადალახა, — ჟურნალი სისტემატურად გამოდის 1957-1971 წლებში გამოიცა მისი 28 წიგნი. მათში დაბეჭდილია სამასამდე სხვადასხვა შინაარსის მეცნიერული წერილი და ორასზე მეტი ინფორმაცია. ამიტომ შეუძლებელია მათზე ცალ-ცალკე საუბარი.

საერთოდ კი, ორგანო ისეთი აკადემიური და ქართველოლოგიისა და კავკასიისმცოდნეობის დარგებში იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ 1962 წლიდან მას ნაწილობრივ საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აფინანსებს.

სულ მალე, 28 აგვისტოს ბატონ კალისტრატე სალიას 70 წელი უსრულდება. იუბილარი გახლავთ დასავლეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი-ქართველოლოგი. იგი არჩეულია ლუვენის, ბამბერგის, ბორდოს, ოსლოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო პროფესორად, არის ბმელთაშუა ზღვის აკადემიის ნამდვილი წევრი, პარიზის საზაო საზოგადოების, პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ისტორიო საზოგადოების, ბიზანტოლოგთა საერთაშორისო შტუდიების, რელიგიათა ისტორიის საზოგადოების წევრი და რიგ სხვა სამეცნიერო გაერთიანებათა საქმეების მონაწილე. სამჯერ აირჩიეს სამეცნიერო ბეჭდვითი სიტყვის საერთაშორისო კავშირების ვიცე-პრეზიდენტად, არის მრავალი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე.

კალისტრატე სალია დაიბადა 1901 წლის 28 აგვისტოს ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის (ახლა — წალენჯიხის რაიონი) სოფელ ჯგალში (ახლანდელი ლარა-მედანი).

მუყაით მშრომელ მამას — ზოსიმე სალიას და დედას გაიარე კვარაცხელიას არაფერი დაუზოგავთ შვილებისათვის განათლების მისაცემად. ამჟამად წალენჯიხაში ბედნიერად ცხოვრობენ ბატონ კალისტრატეს ძმები ოჯახებით — გიორგი, ვლადიმერი და ივანე.

კალემ დაამთავრა ჯგალის ორკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ — ზუგდიდის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი და 1916 წელს მოეწყო ხაშურის საგლეხო გიმნაზიაში, რომლის დასრულების შემდეგ ბრუნდება მშობლიურ სოფელში და შვიდკლასიან სკოლაში მასწავლებლობს. 1919 წელს მისი ინიციატივით დაარსდა დაწყებითი სკოლა მედანის უბანში და ჯგალის სასოფლო კოოპერატივი მეპაიეთა ანგარიშზე.

1920 წელს კალე სალია უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტია; 1922 წელს მიდის ბერლინში. აქ იგი ჩაირიცხა უნივერსიტეტთან არსებულ გერმანული ენისა და ლიტერატურის ორწლიან ინსტიტუტში, რომელსაც 90 უცხოელთაგან მხოლოდ 5 ამთავრებს. ამ ხუთს შორის არიან კალე და კიდევ ორი ქართველი. შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1924 წელს გადადის პარიზში და ამთავრებს სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს. 1927 წელს წარმატებით იცავს ბაკალავრის დიპლომს.

პარიზში კალისტრატე გაეცნო რუსეთიდან 1924 წელს ჩასულ ნინო ჭურცაკაშვილს. შეუღლების დღიდან ისინი ერთად ეწევიან მეცნიერულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კალისტრატე სალია თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ყოველთვის როდი იდგა სწორ პოზიციებზე. ორ პერიოდი, როდესაც მის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა შეცდომებს, დაბნეულობას, გაუგებრობას... ნამდვილ მეცნიერულ მოღვაწეობასა და ქართველი ხალხისა და სამშობლოს სამსახურს, შეიძლება ითქვას, სათავე დაედო იმ დღიდან, როცა 1957 წელს მისი ხელმძღვანელობით „ბედი ქართლისას“ პირველი ნომერი გამოვიდა. ჟურნალი «Bedi Kartlisa, revue de kartvelologie» ქართველოლოგიური და კავკასიისმცოდნეობითი კვლევითი და მიმოხილვითი ორგანოა, რომელიც უმთავრესად აშუქებს ისტორიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს.

ჟურნალში მასალები თავიდანვე დედნისეულ (ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ) ენებზე ქვეყნდება.

პროფესორ სალიას ერთ-ერთი დამსახურება ის არის, რომ მან ჟურნალის ირგვლივ შემოიკრიბა მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები, გამოჩენილი ქართველოლოგები და მომიჯნავე დარგთა სპეციალისტები:

ჟურნალში იბეჭდებოდნენ აწ განსვენებული პროფესორები: მიქელ თარხნიშვილი (1897-1958), მიხეილ წერეთელი (1878-1955), გერჰარდ დეეტერსი (1901-1961), იარომირ იედლიჩკა (1901-1965) და სხვები.

ორგანომ გამოაქვეყნა აგრეთვე საბჭოთა კავშირში ჭართულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილ რიგ გამოკვლევათა ფრანგული თარგმანი. მათი ავტორები არიან შალვა ამირანაშვილი, ანდრია აფაქიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვერა ბარდაველიძე, ვახტანგ ბერიძე, კორნელი კეკელიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი,



გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, მიხეილ ჩიქოვანი, გიორგი ჩუბინაშვილი, გრიგოლ ჩხეიძე, ნინო ხოშტარია, სერგი ჯიქია, კრიტიკოსი ბესარიონ ყიფიანი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები.

15 წლის წინათ ამ ბეჭდვით ორგანოს საფუძველი რომ ჩაეყარა, — წერდნენ სამოდე თვის წინათ ცნობილი ევროპელი ქართველოლოგები, კალისტრატე სალიამ შეძლო ჟურნალის ირგვლივ შემოეკრიბა უველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კონტაქტები საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ წარმოებულ კვლევა-ძიებას შორის და გაეღვივებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდარული და მომხიბლავი მხარის ცივილიზაციის ყველა ასპექტის შესწავლისადმი. „დირექტორმა 64-გვერდიანი ჟურნალი გადააქცია საერთაშორისო სახელის მქონე დიდ სამეცნიერო ჟურნალად, რომელიც მეცნიერულ სამყაროში აღიარებულია, როგორც საზღვარგარეთის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის აუცილებელი ბეჭდვითი ორგანო“.

უდავოა, რომ „ბედი ქართლისა“ ხელს უწყობს აგრეთვე ქართულ-ფრანგული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას.

იუბილარი ავტორია მრავალი მეცნიერული შრომისა და მონოგრაფიისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ნინო და კალისტრატე სალიების პარიზში მოღვაწეობას კიდევ იმ მხრივ აქვს დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, რომ ისინი ინახავენ და უვლიან საზღვარგარეთ გარდაცვლილი ზოგიერთი მეცნიერის, მწერლისა თუ საზოგადო მოღვაწის პირად არქივებს.

ნინო და კალისტრატე სალიებმა პარიზში შექმნეს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ბიბლიოთეკა, რომლითაც ბევრი სარგებლობს და მომავალშიც ისარგებლებს.

კალისტრატე სალიამ, როგორც რედაქტორმა და გამომცემელმა, ჟურნალის ირგვლივ ცნობილ ქართველოლოგთა შემოკრებით ფართო მასშტაბით დაიმსახურა კეთილი აღიარება. ვუსურვებთ მას ჯანმრთელ სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პროფესორი
იოსებ მეგრელიძე



„ბედი ქართლისა“ 28

პარიზში გამოვიდა ჟურნალ „ბედი ქართლისას“ — „რევიუ დე ქართველოლოჟის“ (დირექტორ-გამომცემელი კალისტრატე სალია) 28-ე ტომი.

ჟურნალის ამ ახალ ნომერში გამოქვეყნებულია ქართველ, აზერბაიჯანელ, ჩრდილოკავკასიელ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია რენე ლაფონის, ჟორჟ დიუმეზილის, ვლადიმერ ფანჩვიძის, ალექსანდრე მაჰმეტოვის, მირზა ა. გული ზადეს, დადაშ ზადეს, ჟერარ გარიტის, დავიდ მარშალ ლანგის, კალისტრატე სალიას, ლაიოშ ტარდის, ნინო სალიას, ჟოზეფ მოლიტორის, გერტრუდ პეჩის, კარლ ჰორსტ შმიდტის, ჰაინრიხ ფეგნრიხისა და სხვათა ნაშრომები.

აქვე ვკითხულობთ ქართველი პოეტების ლექსების ფრანგულ თარგმანებს. პროფესორ რენე ლაფონს უთარგმნია აკაკი წერეთლის „სულიკო“, ტატიანა ავალიანს — გალაკტიონის „ნიკორწმინდა“, ელენე წერეთელს რენე ლაფონთან ერთად — ირაკლი აბაშიძის „გოლგოთასთან“.

გარდა ამისა, ჟურნალში გამოქვეყნებულია ქართველ მეცნიერთა ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიები, მაგალითად, ჟურნალი საუკეთესო შეფასებას აძლევს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფიას ილია ჭავჭავაძის შესახებ. იგი უცხოელ მკითხველს აცნობს ამ მონუმენტური ნაშრომის მოკლე შინაარსს და ბოლოს დასკვნის:

„გამომცემელი ლიტერატორი და კრიტიკოსი გიორგი ჯიბლაძე თავის მონოგრაფიაში განიხილავს მე-19 საუკუნის პეორე ნახევრის დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ავტორი ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე არჩევს ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწერლის მემკვიდრეობას სოციალურ, ესთეტიკური და კრიტიკული აზროვნების სფეროში. მონოგრაფიაში მსოფლიო ლიტერატურის შედევრებთან მიმართებაში ორიგინალურად არის გადაჭრილი თეორიული და ფილოსოფიური პრობლემები. წიგნი დიდ ინტერესს აღძრავს მე-19 საუკუნის ისტორიისა და სოციალური ცხოვრების სრულყოფილად შესწავლის საქმეში“.

„ნაშრომი „ქართული ენა“, — წერს პროფესორი რენე ლაფონი, — დაწერილია ფრანგულ ენაზე გამოჩენილი ენათმეცნიერის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის შოთა ძიძიგურის მიერ. წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. მასში წარმოდგენილია ქართული ენის ისტორია, პრობლემები, რომლებიც ამ ენის შესწავლას ეხება... წარმოდგენილია მშვენიერი ფოტოები, მეცნიერთა პორტრეტები, ხელნაწერთა რეპროდუქციები... ძალიან კარგად არის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია, რაც დიდ სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს, დამწყებთ და ცნობისმოყვარეთ“.

აქვე პროფესორი რენე ლაფონი ეხება ნინო ჭადეიშვილისა და როგნედა ღამბაშიძის მიერ შედგენილ „ქართული ენის თვითმასწავლებელს“, რომელიც გამოიცა „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების“ ინიციატივით და რომელიც განკუთვნილია ქართველთათვის, საზღვარგარეთ რომ დაიბადნენ და ქართული არ იციან. ავტორის აზრით, წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც აინტერესებს ქართველი ხალხის ენა და ლიტერატურა.

ჟურნალი მიმოიხილავს პროფესორ დავით ფანჩულიძის წიგნს „მე-19 საუკუნის ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობანი“, რომელიც დაიწერა ფრანგულ ენაზე საფრანგეთში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით. ნაშრომი ექსპონირებული იყო პარიზში, საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს მოკლე ანოტაციები. ჟურნალის რედაქცია მიესალმება ასეთი სახის წიგნის გამოცემას და მიიჩნევს მას ქართულ-ფრანგული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ღრმაშენელოვან ხელშემწყობ ფაქტორად.

მიმოხილულია პროფესორ დავით გამეზარდაშვილის წიგნი „ვახტანგ კოტეტიშვილი“, რომელიც 1969 წელს გამოსცა „ნაკადულმა“. რეცენზიაში ნათქვამია, რომ წიგნი დაწერილია საკვლევი ობიექტის კარგი ცოდნით, ხოლო თვით ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ფოლკლორის დიდი სპეციალისტი.

რეცენზენტი ეხება პროფესორ იოსებ მეგრელიძის ნაშრომებს, განსაკუთრებით რუსთველოლოგიური ხასიათისას, კერძოდ განიხილავს მის წიგნს „რუსთველოლოგები“.

ჟურნალი მხედველობიდან არ უშვებს საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ კრებულებსაც, რომლებშიც დაბეჭდილია ქართველ მეცნიერთა ნაშრომები და აგრეთვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გერმანული თარგმანები. რეცენზენტი მოკლედ მიმოიხილავს იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის კრებულს „ენა და საზოგადოება“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, პროფესორ გეორგ რაპის დაბადების 60 წლისთავს. კრებულში მოთავსებულია აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, რევაზ ბარამიძის, გურამ რამიშვილის წერილები — მიძღვნილი იუბილარისადმი.

აქვე განხილულია „მანესე ბიბლიოთეკის“ მიერ შვეიცარიაში გამოცემული წიგნი „თანამედროვე ქართველი მწერლები“, რომელშიც შევიდა კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლევან გოთუას, გრიგოლ ჩიქოვანისა და სხვათა მოთხრობების გერმანული თარგმანები.

„გრიგოლ ჩიქოვანის „დაბრუნება“, — წერს რეცენზენტი, იშვიათი მაგალითია იმისა, თუ როგორი სიფაქიზით უნდა დაიწეროს მოთხრობა, რომელშიც მწერალი გადმოსცემს ტრაგიკულ სიტუაციას. გრიგოლ ჩიქოვანი არის ქართული პროზის საუკეთესო ოსტატი.

კრებულში მოთავსებული ყველა მოთხრობა დაწერილია დიდი მხატვრული ოსტატობით და ღირსეულად ავრძელებს ქართული ლიტერატურის ტრადიციებს. რუთ ნოიკომს კარგი მოთხრობები შეურჩევია და კარგადაც უთარგმნია“.

ჟურნალი მოკლედ მიმოიხილავს აგრეთვე ჯანუღ ჩარკვიანის ლექსების წიგნს „მზის მოსავალი“, რომელიც გამოსცა „მერანმა“. „ჯანუღ ჩარკვიანი ნიჭიერი პოეტია, იგი რედაქტორობს ჟურნალ „ცისკარს“, დღემდე დაწერილი აქვს ლექსებისა და პოემების მრავალი საყურადღებო კრებული“ — ამბობს რეცენზენტი.

ჭართველ მეცნიერთა და მწერალთა ნაშრომების ევროპულ ენებზე თარგმნა და უცხოელი მკითხველისათვის წარდგენა, რასაც ჟურნალი ასე გულმოდგინედ აკეთებს, მეტად სასარგებლო და საჭირო საქმეა.

სერგო თურნავა

სურათებზე: პროფესორი კალისტრატე სალია და მისი მეუღლე ქალბატონი ნინო; ჟურნალ „ბედი ქართლისას“ 28-ე ტომის გარეკანი.

საგასტროლო გზები

ოპერის თეატრი


თიათრის ერთ თვეს მოგზაურობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საქართველოს რაიონებში. ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, ხობი, წულუკიძე, ზუგდიდი, თერჯოლა, გეგეჭკორი — აი არასრული სია იმ რაიონებისა, რომლებსაც თეატრი ამ ხნის განმავლობაში ეწვია. გასტროლები მიეძღვნა გენიალური ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავს და ერთგვარი წინასწარი ღონისძიება იყო ამ იუბილეს წინ. მუსიკის მოყვარულებმა ნახეს ოპერა „დაისი“ და კონცერტი, რომელზეც შესრულდა ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებები. ყოველი კონცერტის წინ დამსწრენი იხსენდნენ ლექციას დიდი ქართველი კომპოზიტორის ცხოვრება-შემოქმედებაზე.

ამჟამად ოპერის მსახიობები შვებულებაში იმყოფებიან. სექტემბრიდან, საგასტროლო სამზადისს შეუდგებიან. როგორც ცნობილია, ოქტომბერში მოსკოველებიც აღნიშნავენ ზაქარია ფალიაშვილის იუბილეს და სწორედ ამასთან დაკავშირებით ჩვენი თეატრი მიწვეულია საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. 19 ოქტომბერს საზეიმო საღამო გაიმართება მოსკოვის დიდ თეატრში, მომდევნო დღეებში კი საქართველოს წარგზავნილები უჩვენებენ სპექტაკლებსა და კონცერტებს. თეატრის რეპერტუარშია ოპერები: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია“, რევაზ გაბიჩვაძის ბალეტი „ჰამლეტი“.

მარჯანიშვილის თეატრი

აკაკი გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ პოპულარობით სარგებლობს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. იგი საბჭოთა კავშირის ბევრი წამყვანი თეატრის სცენაზე დაიდგა და მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. სწორედ ეს პიესა შეარჩია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა საგასტროლოდ. „წმინდანები ჯოჯოხეთში“ ნახეს დუშეთის, კასპის, გორის, ბაშურის, ქარელის, ბორჯომის მშრომელებმა. ამავე რაიონებში მსახიობებმა დიდი წარმატებით გამართეს კონცერტები.

გამოჩენილი მსახიობი ვასო გოძიაშვილი შესანიშნავი რეჟისორიც არის. უკვე კარგა ხანია სცენიდან არ ჩამოდის მისი დადგმული „ძველი ვოდევილები“, რომელშიც თვითონვე ასრულებს მთავარ როლს. ამ დადგმით მარჯანიშვილის თეატრი ეწვია დასავლეთ საქართველოს. წულუკიძის, ვანის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, სამტრედიის, ცხაკაიას, ფოთის, აბაშის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების მშრომელებს დიდხანს ეხსომებათ ეს გასტროლები.



მერაბიშვილთა ხელოვნება

რუსთაველი! ახსენებ ამ სიტყვას და მგოსნის სახელთან ერთად თვალწინ წარმოგიდგება ქუჩა, გამზირი, სოფელი, ქალაქი — დიდი შემოქმედის უკვდავსაყოფად რომ ავაშენეთ და მისი სახელი ვუწოდეთ.

რუსთაველი! ახსენებ ამ სახელს და აუცილებლად გაგახსენდება მარმარილოს კვარცხლბეკზე შემდგარი ძეგლი, ასე რომ ამშვენებს ჩვენს დედაქალაქს, ასე რომ შეესისხლხორცა რუსთაველის გამზირს...

ყვავილფერი ლაქვარდოვანი ცის, ანკარა წყაროს, ჩიტებით ახმაურებული ტყისა და დედის ლამაზი ზღაპრებით დაიწყო, იზრდებოდა პატარა კოტე და ბუნებაზე უანგაროდ შეყვარებულს მუდამ თან სდევდა სურვილი — თვალით ნანახი ქალაქდაზე გადაეტანა, თიხით გამოეძერწა. ესეც შეძლო და უმალ მიიქცია ყველას ყურადღება. გიგო გაბაშვილი და იაკობ ნიკოლაძე იყვნენ კონსტანტინე მერაბიშვილის ნიჭის პირველი დამფასებლები.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს კონსტანტინე მერაბიშვილმა და რუბენ თავაძემ (ეს ნიჭიერი მოქანდაკე სამამულო ომში დაიღუპა) დედაქალაქი ბორის ძნელაძის ძეგლით დაამშვენეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი სკულპტურა, რომელიც თბილისში საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიდგა. ხელოვანის შეხვედრა ბულგარელი ხალხის დიდ შვილთან გიორგი დიმიტროვთან, ლაიფციგის პროცესიდან საქართველოში დასასვენებლად ჩამოსულს, მშრომელი ადამიანების სიკეთისათვის მებრძოლ ვაჟკაცს უთხრეს — ახალგაზრდა ქართველ მოქანდაკეს თქვენი სკულპტურის გამოძერწვა სურსო. სტუმარი დათანხმდა და კონსტანტინე მერაბიშვილმა ქვაში ამეტყველა ლეგენდად ქცეული კაცის სახე. მალე ჩვენი ბელგრადსა კიდევ ერთ თაყვანებულ [illegible] წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი კონსტანტინე მერაბიშვილი ასე უპასუხებს: მხოლოდ და მხოლოდ გულით ნატარებ სახეებს ამოვკვეთ ქვაში. გულს კი ჩემთვის არასოდეს უმტყუნია და იოლი არასოდეს ვუტარებივარო.

სახელოვანმა შემოქმედმა საკუთარი გულით ნაკარნახევ გზაზე სხვა ბევრიც გაიყოლა. პირველი, ვინც მას კვალში ჩაუდგა, ქისი გუჟეშვილი მერაბი გახლავთ. მის მიერ გამოძერწილმა გრიბოედოვის ძეგლმა, რომელიც თბილისში 1961 წელს დაიდგა, ყველას მიანიშნა, რომ მერაბიშვილების გვარს კიდევ ერთი ღირსეული შეემატა. საკავშირო საბატარო აკადემიამ ახალგაზრდა შემოქმედი ამ ნამუშევრისათვის ოქროს მედლით დააჯილდოვა. წლეულს აპრილში კი ძერაბის მიერ გაკეთებულმა „შეფე ერეკლეს“ თავი დაამშვენა.

დიახ, თელავში, პატარა კახის სახახლის კედლების კონტურების ფონზე ბრიხჯაოს შხედარი აღიმართა.

ქანდაკება კომპოზიციურად შეკრულია, მხედარსაც და მის ცხენსაც ფიზიკური დაძაბულობის ერთი რიტმი ამოქმედებთ, ძლიერი თავისი ემოციური გამომსახველობით. ღრმა არის მისი იდეური შინაარსიც. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და შთამაგონებელია მტკიცე მარჯვენით ზეტაცებული ორლესული, რომელიც ჯვარიყით შუბარჯვენებია მხედარს. ხმლის ასეთნაირი დაჭერით ერეკლე მშვიდობიანობის მქადაგებელიც არის, თავისი ერის მფარველიც და ერთმორწმუნე მოკავშირის მაძიებელიც.


პატარა კახის ძეგლი, რომლის არქიტექტორია თეიმურაზ კანდელაკი, კლასიკური, აკადემიური სკოლის ნორმებით არის შესრულებული და ამ სკოლაში მერაბიშვილისეული ხელწერაა.

— ძალზე ამაღელვა იტალიის ეროვნული გმირის, ჩვენი თანამემამულის ფორე მოსულიშვილის ვაჟკაცობამ. მისი სახელი პირველად სწორედ თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამოვიკითხე. დიდი სურვილი მაქვს ქვაში გამოვძერწო ამ კაცის სახე, სამშობლოდან ასე მოშორებით რომ იბრძოდა ჩვენი ბედნიერებისათვის, და ამით ჩემი მცირე, მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადო დიდებული მამულიშვილის წინაშე, — ამბობს მერაბი და თავის ჩანაფიქრზე ისე საინტერესოდ ჰყვება, რომ გჯერა — მერაბიშვილების ხელით შექმნილ სკულპტურულ გალერეას მალე კიდევ ერთი შესანიშნავი ქმნილება შეემატება.

გაიელის წლები. მერაბიშვილების ჩანაფიქრი კვლავ და კვლავ ამოიკვეთება ქვაში, ჩვენს მიწა-წყალზე აღიმართება სამშობლოს, ხალხის სიყვარულში დაფერფლილ ადამიანთა ძეგლები და ეს გაკეთდება უხმაუროდ, პატიოსნად და, რაც მთავარია, გულის კარნახით...

მირიან ლეჟავა,
რევაზ მაჭავარიანი.







სურათებზე: ერეკლეს ძეგლი თელავში; ქვევით—მამაშვილი კონსტანტინე და მერაბ მერაბიშვილები; შოთა რუსთაველისა და ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლები.

საგასტროლო გზები

რუსთაველის თეატრი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი — ავქსენტი ცაგარლის „ხანუმა“ — დიდი წარმატებით სარგებლობს მაყურებლებში. სწორედ ეს დადგმა აირჩიეს მსახიობებმა კახეთში საგასტროლოდ წასვლისას.

თელავის, სიღნაღის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანის მშრომელები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. სპექტაკლი ღია ცის ქვეშ — მოედნებსა და სტადიონებზე იმართებოდა.

ახლა რუსთაველის თეატრი მომავალი სეზონისათვის ემზადება.

მუსიკალური კომედიის თეატრი

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი გასტროლებს მართავს ქუთაისსა და მის ახლომდებარე რაიონებში. გასტროლებისას, რომელიც ერთ თვეს გასტანს, გაიმართება 58 წარმოდგენა.

20 აგვისტოდან კი თეატრი ბათუმს ეწვევა და იქ სექტემბრის პირველ რიცხვებამდე დარჩება.

მუსიკალური კომედიის თეატრის საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია თეატრის საუკეთესო დადგმები: „სიმღერა თბილისზე“, „კურკას ქორწილი“, „ჩემი სიდედრი“, „ბაბაჯანას ქოშები“, „მარიცა“, „ჩემი შეშლილი ძმა“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვა.

გასტროლებზე მოინდოლეთში

მოინდოლეთის სახალხო რესპუბლიკაში საგასტროლოდ გაემგზავრა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამართველოს მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელსაც მურმან ლომთათიძე ხელმძღვანელობს.

ანსამბლში ძირითადად მუშები არიან, რომელთაც თავიანთ მეორე პროფესიად ცეკვა გაიხადეს. მათ უკვე რამდენჯერმე იმოგზაურეს საზღვარგარეთ — უნგრეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, დანიაში და წარმატებებიც მოიპოვეს.

მონღოლეთში ანსამბლი ახალი პროგრამით გამოვა.

სტუმრად არის „კოლხიდა“

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში რამდენიმე კონცერტი გამართა მოსკოვის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა „კოლხიდამ“. ეს ანსამბლი ჯერ კიდევ 1957 წელს ჩამოყალიბდა მოსკოვის 755-ე სკოლაში და მალე მოიხვეჭა სახელი დედაქალაქის მაყურებლებში. ამჟამად ანსამბლი მოსკოვის „გლავსტროის“ კულტურის სახლთან არსებობს, მასში 60-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ირიცხება. ანსამბლის ხელმძღვანელია რევაზ ჯანიაშვილი.

აქ იბადება „დედაენა“



კიდევ რამდენიმე დღე და სექტემბრის ზარი ახალი სასწავლო წლის დადგომას გვამცნობს. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები აქედანვე იჭერენ თავდარიგს — იძენენ სახელმძღვანელოებს.

ის, რომ ჩვენი ბავშვები წლიდან წლამდე უზრუნველყოფილი არიან სასწავლო ლიტერატურით, პირველ რიგში, გამომცემლობა „განათლების“ მრავალრიცხოვანი კოლექტივის დამსახურებაა.

ახალი სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით „სამშობლოს“ კორესპონდენტი ეწვია გამომცემლობა „განათლების“ დირექტორს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრს პროფ ხუტა ბერულავას და სთხოვა, რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა.

„სამშობლოს“ ინტერვიუ

● **პატივცემულო ხუტა, გთხოვთ ჩვენი გაზეთის მკითხველს მოკლედ მოუთხროთ თქვენი გამომცემლობის შესახებ.**

— გამომცემლობა „განათლება“ დაკისრებული აქვს ჭეშმარიტად ეროვნული საქმე — ჩვენს წიგნებზე იზრდება ათასობით და ათიათასობით ქართველი ახალგაზრდა, აქ გამოცემულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე სახელმძღვანელოებს ელოდებიან მოსწავლეები და მასწავლებლები, სტუდენტები და ლექტორები... „განათლებასვე“ ეკისრება საკოლო ბიბლიოთეკის შექმნა და შევსება დედაენაზე. ერთი სიტყვით, გამომცემლობის პროფილი მეტად რთული და მრავალფეროვანია. მისი ყოველწლიური გეგმა 4.500 საავრიცხვო თაბახს შეადგენს, რაც 80 მილიონ ანაბეჭდ ფურცელს აღემატება.

● **რამდენი რედაქცია ემსახურება ამ საქმეს?**

— ჩვენთან შექმნილია თერთმეტი დარგობრივი რედაქცია: ქართული ენისა და ლიტერატურისა, უცხო ენებისა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვა), ფიზიკისა და მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიისა და გეოგრაფიისა, პოლიტიკურ - საზოგადოებრივი, საწარმო-ტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, პროფტექნიკური, პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურისა, ბიბლიოგრაფიისა და მატიანეებისა, აგრეთვე მხატვრული და ტექნიკური გაფორმების რედაქციები. ყოველი მათგანი, მთელი ჩვენი გამომცემლობის შემოქმედებითი და საწარმოო კოლექტივი — რედაქტორები, მხატვრები, ტექნიკური რედაქტორები, კორექტორები, ყველაფერს აკეთებენ, ცოდნასა და ენერგიას არ ზოგავენ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას რაც შეიძლება სრულყოფილი სახელმძღვანელოები მიიღოს.

● **გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენს მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოების ავტორები.**

— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებისათვის ორიგინალური სახელმძღვანელოებს ქმნიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, პედაგოგები, მწერლები. მაგალითად, ჩვენი ავტორები და სამეცნიერო რედაქტორები არიან აკადემიკოსები ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, რაფიელ დვალი, ავლიპ ზურაბაშვილი, ნიკო კეცხოველი, გიორგი მელიქიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ალექსანდრე ჯაფარიძე, გიორგი ჩიბლაძე და სხვები.

აკადემიკოსმა ივანემ ხარაშვილმა დაგვიწერა ლიტერატურის ახალი ჩინებული სახელმძღვანელო მათ კლასისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზურაბ მესხიამ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვიქტორ გუჩუამ შეადგინეს „საქართველოს ისტორია“ (VII-X კლასებისათვის). იგი გამოადგებათ არა მარტო მოსწავლეებს, არამედ ყველას, ვისაც აინტერესებს ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული. ათეულობით წლების მანძილზე ემსახურა ჩვენს სკოლას ნინო ბოცვაძისა და იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენა“ მიხედვით. სახელმძღვანელოს რედაქტორმა, პროფესორმა ვალერიან რამიშვილმა და შემდგენლებმა წიგნი საგრძნობლად დახვეწეს და გადაახალისეს. წლეულს იგი ოცდამერვედ გამოიცა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბევრი სხვა ახალი სახელმძღვანელოც შეიქმნა, ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანი დახვეწა და გაუმჯობესდა.

● **ყველა მოსწავლე მიიღებს თუ არა ახალ სახელმძღვანელოს?**

— სახელმძღვანელოთა შინაარსობრივი და მხატვრული გაფორმების გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება მათი ტირაჟიც. წლეულს მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის 133 სახელწოდების სახელმძღვანელო გამოვეცით. მათი ტირაჟი 5 მილიონზე მეტია. თუ ნაწილობრივ შარშანდელ სტაბილურ სახელმძღვანელოებსაც გამოვიყენებთ, ვფიქრობთ, ეს ტირაჟი სავსებით დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

● **ცნობილია, რომ სახელმძღვანელოების გასაყიდი ფასი ძალზე უმნიშვნელოა. როგორ ანაზღაურებს გამომცემლობა გაწეულ ხარჯებს?**

— ჩვენი სახელმწიფო მომავალი თაობის აღზრდაზე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ისიც, რომ გამომცემლობა „განათლებას“ ყოველწლიურად თითქმის ათი მილიონი მანეთის სახელმწიფო დოტაცია ეძლევა. მაგალითად, „დედაენის“ თითოეული ეგზემპლარი 51 კაპიკი ჯდება, მისი გასაყიდი ფასი კი 23 კაპიკია. განსხვავებას სახელმწიფო ფარავს.

● **ხომ არა გაქვთ განზრახული გამოსცეთ წიგნები და სახელმძღვანელოები უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის?**

— დიახ. გამომცემლობა ორიგინალურ სახელმძღვანელოებთან ერთად პერიოდულად ბეჭდავს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. გერმანულად და რუმინულად გამოიცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. ამ თარგმანებს თან ახლავს გენიალური პოეტის ტექსტები დედაენაზე. გამოსაცემად მზადდება ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე). „განათლებამ“ უახლოეს დროში ინგლისურ, ფრანგულ და სხვა ენებზე უნდა გამოსცეს „დედაენა“ და საკითხავი წიგნი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის. ამ კეთილშობილ საქმეს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი უშანგი ობოლაძე.

● **ბატონო ხუტა, ფართო მკითხველი თქვენ, პირველ რიგში, გიცნობთ როგორც პოეტს. გთხოვთ პირად გეგმებზეც გვესაუბროთ.**

— წლეულს გამოვიდა ჩემი ლირიკული ლექსების წიგნი „ვარაზისხევი“, დავამთავრე პოემა „თბილისის თანამგზავრი“. წელიწადის დამლევამდე გამოქვეყნდება მეორე პოემა „თინა თორტიშელი“. 1972 წელს მკითხველი მიიღებს ლიტერატურული წერილების წიგნს, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ქართული საბავშვო ლიტერატურის საკითხებს.

ვფიქრობ, როგორც ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის თეორეტიკოსის და საინტერესო გამოცემის — „მსოფლიოს ბავშვების“ საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის წევრს, ჩემი მცირედი წვლილი შემაქვს საზოგადოებრივ საქმიანობაშიც.

მწერლის გზა მოულოდნელობით არის აღსავსე. ბევრი ჩემი შემოქმედებითი ჩანაფიქრიდან, ალბათ, ზოგიერთი ფრთებს შეისხამს, ზოგიც... თუმცა, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

ვინ იყო ვახრამ დადიანი?



KAHRAM DADIAN BEY.

ვაჟკაცობა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მონაცემებს და პატივი მაქვს „სამშობლოს“ მკითხველებს ვამცნო შემდეგი:

„უდიდესი უნგრელის“ ვაჟი ედენ სეჩენი თავისი დროის გამოჩენილი პოლიტექნიკოსი და, უწინარეს ყოვლისა, მთელ ევროპაში ცნობილი ხანძრის ჩაქრობის სპეციალისტი იყო. თურქეთის სულთნის პირადი მიწვევით იგი სტამბოლში ჩავიდა და იქ მოაწყო ახალი, თანამედროვე სახანძრო დაცვა. მანამდე თურქეთის დედაქალაქი დიდად იყო დაზარალებული განუწყვეტელი ხანძრებისაგან.

ედენის მეუღლე იყო უნგრელი ქალი ირმა ალმაი. 1870 წლის 12 იანვარს მათ ეყოლათ ქალიშვილი ვანდა სეჩენი. 1887 წლის 18 ივნისს გრაფინია სეჩენი სტამბოლში მისთხოვდა ვახრამ დადიანს. უნგრეთის მაშინდელი პრესა ბშირად წერდა „უდიდესი უნგრელის“ შვილიშვილისა და მისი ქართველი მეუღლის შესახებ. 1890 წლის გაზაფხულზე ისინი დიდხანს იყვნენ ბუდაპეშტში. მაშინ ვახრამ დადიანი თურქეთის ფინანსთა სამინისტროს სტატს-მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა.

უნგრეთის შემდგომი წყაროები ძირითადად გვაცნობენ იმავე ფაქტებს, რომლებიც ცამეტი შვილმა მოიყვანა „ოგონიოის“ სტატიიდან, თუმცა არის რამდენიმე სხვა მონაცემიც, რომელთა შესწავლა დღემდე ვერ შევძელი. მაგალითად, „პალასის“ ენციკლოპედიაში (ბუდაპეშტი, 1893) ნათქვამია, რომ 1886 წელს, როცა ბულგარელმა თავადმა ალექსანდრემ უარი განაცხადა ტახტზე, რუსეთის მეფემ ბულგარეთის გვირგვინის ახალ კანდიდატად ვახრამ დადიანი წამოაყენა. ვახრამ დადიანი და მისი მეუღლე 1916 წელს გარდაიცვალნენ. ვახრამ დადიანი იმ დროისათვის უკვე ირანის არმიის გენერალ-ლეიტენანტი იყო.

ენე რონაიეის წიგნში „გრაფი ედენ სეჩენი“ (ბუდაპეშტი, 1938, უნგრულ ენაზე) დაბეჭდილია ცოლ-ქმარ დადიანების ფოტოსურათები. რა თქმა უნდა, 70-იან წლებში გადაღებული ფოტოსურათები საკმაოდ პრიმიტიულია, მაგრამ მაინც გიგზავნით ამ წერილთან ერთად გამოსაქვეყნებლად.

ბოდიშს ვიხდი გრამატიკული შეცდომებისათვის. შეგიძლიათ მიპასუხოთ ქართულ ან რუსულ ენაზე.

გულწრფელი პატივისცემით
თქვენი მკითხველი
ლაიოშ ტარდი,
უნგრეთის ეროვნულ მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის დირექტორი



GRÓF SZÉCHÉNYI VANDA
VAHRAM DADIAN BEY FELESÉGE

რედაქციისაგან: ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს („სამშობლო“ № 9, 1969 წლის 12 დეკემბერი) უნგრელ ქართველოლოგს, ქართულ-უნგრული ისტორიული და კულტურული ურთიერთობის მკვლევარს ლაიოშ ტარდის. მის მიერ მოწოდებული ცნობები, რომელთაც დღეს ვაქვეყნებთ, დიდად საინტერესოა და მეტი არა დაგვრჩენია რა, გარდა იმისა, რომ მადლობა ვუთხრათ პატივცემულ მკვლევარს ასეთი ყურადღებისათვის.

რჩეული ნაწერები

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე ეკუთვნის იმ რჩეულ მწერალთა რიცხვს, რომელთა ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ხალხში. მისი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები კარგა ხანია შეიყვარა მკითხველმა.

ახლახან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გრიგოლ აბაშიძის სამტომეულის პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებულია ლექსები, პოემები და პიესები. მეორე ტომში შევა მწერლის ორი ისტორიული რომანი — „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, მესამე ტომში — „ყორნალი“ და მოთხრობები.

ლექსი, რომელიც „სამშობლოს“ დღევანდელი ნომრის პირველ გვერდზე შემოგთავაზეთ, გრიგოლ აბაშიძის რჩეულ ნაწერთა პირველი ტომიდან არის ამოღებული.

„მრავალთავი“

ლიტერატურის მკვლევარებმა მეტად საინტერესო წიგნი მიდეს — ცნობილი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ მომზადებული კრებულის „მრავალთავის“ პირველი ტომი.

„მრავალთავის“ ამ ტომში იბეჭდება ილია აბულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატია, რამდენიმე ავტორის საყურადღებო გამოკვლევები ძველი ალთქმის წიგნთა ძველქართული რედაქციების ფილოლოგიური კვლევის შედეგებზე, ქართულ-ბიზანტიურ და ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებზე ქართული „მრავალთავის“ მიხედვით და სხვა.

„მრავალთავის“ ეს ტომი წარმოადგენს ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ადრე გამოქვეყნებული კრებულების („ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“) გაგრძელებას.

დავით გაბრაშვილი — „საქართველოს ისტორია“

ამ წიგნს, რომელსაც გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოუშვებს, მალე მიიღებს მკითხველი.

წიგნში გამოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1817 წლამდე. მასში განსაკუთრებით საყურადღებოა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დამდეგის ამბები. დავით ბაგრატიონის ნაშრომი საქართველოს ისტორიის შემცველ ერთადერთ შემონახულ ხელნაწერს წარმოადგენს, რომელსაც აპოლონ როგავამ მიაკვლია 1948 წელს ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში.

წიგნი დაწერილია რუსულად და ახლავს ტექსტის გამომცემლის — აპოლონ როგავას ვრცელი გამოკვლევა ქართულ ენაზე.


„დიდოსტატის მარჯვენა“ უკრაინულად

გამომცემლობა „დნიპრომ“ უკრაინულად გამოუშვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. რომანი ქართული დედნიდან თარგმნა ოლექსა სინიჩენკომ, მხატვრულად გაფორმა დოზორეცმა.

წიგნს ერთვის ბესარიონ ჟღენტის წინათქმა.

ირანული ეტიუდები

პროფესორი მაგალი თოდუა



იამოვნებას მგვრის იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე ირანელმა წიხაპოეტებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ქართველების, ამ „ლამაზი ხიჭიური, გამტანი და მამაცი ხალხის“ პატივისცემა, ხოლო სპარსელი მკვლევარები ობიექტურად აფასებენ ქართველების როლს მათი ქვეყნის ისტორიაში. ერთი მხრივ ეს ბოლოსნა და მეორე მხრივ ის დიდი ინტერესი, რასაც საქართველოში დღეს იჩენენ ირან-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლისადმი, ეს ორი ფაქტორი-მეთქი, მიხდოდა მეთქვა, იმის საწინდარი შეიძლება გახდეს, რომ ირანელი და ქართველი ორიენტალისტები არა ერთსა და ორ საკითხს დაამუშავებენ ერთიმეორის დახმარებითა და ერთობლივი ღონისძიებით. გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებმა იციან, რომ ამის ნიშნები უკვე ჩანს, — ირანის კულტურისა და მეცნიერების ცენტრმა („ბოხიჲად-ე ფარჰანგ-ე ირან“), რომლის გენერალური მდივანიც ცნობილი მეცნიერი ფარვიზ ხანლარია, ჯერჯერობით შეაფასა ქართველი ირანისტების შრომა და თავის გამომცემლობაში დაბეჭდა სპარსული ლიტერატურის შედევრის „ვის ო რამინის“ აკადემიური ტექსტი, მომზადებული ქართველი სპეციალისტების მიერ. ამით მან არ ითაკილა, ყდიარებინა ჩვენი წვლილი, როგორც თანამედროვე ირანისტიკის ერთგვარი მიღწევა. ასეთი ღონისძიება ჯერჯერობით პირველი ნაბიჯებია, მაგრამ რამდენადაც ვიცი, საბჭოთა კავშირისა და ირანის ოფიციალური წრეები ახლა უკვე სახავენ მეცნიერული თანამშრომლობის ფართო გეგმებს.

ამ სტრიქონების ავტორმა წლევანდელი ზამთარი ირანში გაატარა, სადაც ის მისმა თეირანელმა კოლეგებმა სტუმრად მიიწვიეს. ჩემმა გულთბილმა და პურადმა მასპინძლებმა ყურადღება არ დამაკლეს და მათ გულისხმიერებას, აგრეთვე საბჭოთა წარმომადგენლობის საქმიან დამოკიდებულებას უნდა ვუმადლოდე, რომ უკან ხელცარიელი და მარტო ტურისტული შთაბეჭდილებების ანაბარა არ დავბრუნებულვარ. აქ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მაღლობით მოვიხსენიო ირანის კულტურისა და მეცნიერების ცენტრის ზემოთ უკვე ნახსენები გენერალური მდივანი ბატონი ფარვიზ ხანლარი და ცნობილი ირანელი სწავლული, ირანის შაჰის მრჩეველი კულტურის საკითხებში, მოსკოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი შოჯაუდდინ შაფა. ქართულსა და რუსულ პრესაში გაკვრით უკვე მქონდა საუბარი ირანში ჩემს მიერ გაწეულ მუშაობაზე. ძაღი შედეგები თავმოყრილია წიგნში „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სულ მალე გამოსცემს, მაგრამ მინდა დავამატოფილო ჩემი კოლეგებისა და ირან-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობით დაინტერესებულ პირთა სურვილი და ცოტა რამ აქაც ვთქვა ამის თაობაზე.

ქართველობა ირანში დიდი ხანია ცხოვრობს. სპარსული წყაროებისა და თანამედროვე ირანელი მეცნიერების ცნობით, ისინი საქართველოდან გაასახლეს უმეტესად შაჰ-აბასის (1587-1629) დროს. მაგრამ ირანში ადრეც ხდებოდა ქართველთა მიგრაცია და შემდეგაც ცნობილია, მაგალითად, რომ გიორგი XI-ის (1676-1688) ლაშქარი, რომლითაც ქართლის მეფე ირანის საზღვრებს იცავდა ავღანთა და ბელუჯთაგან, ძირითადად საგანგებოდ საქართველოდან გაწვეული მეომრებისაგან შედგებოდა. ირანში გაჰყავდათ ქართველი ყმაწვილები, რომლითაც რეგულარული ჯარი უნდა შეევსოთ, გაჰყავდათ გოგონები, რომელთაც ირანის შაჰებისა და დიდგვაროვანი პირების ჰარამხანა უნდა დაემშვენებინათ. ძალიან შორს არ უნდა იყოს სიმართლისაგან იმ დროის ევროპელი მოგზაურების ცნობა: ქართული სისხლი დიდ მოწონებაშია და ირანელი არისტოკრატები ცდილობენ მით თავიანთი შთამომავლობა გააკეთილშობილონო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ირანში დღესაც ბევრი გეტყვით, ბევია ქართველი მყავდაო. რატომ მაინც და მაინც ბევია? იმიტომ, რომ წინა ორი თაობის ხანაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ტრადიცია: შეძლებულ კაცს ჰარამხანაში ერთი ცოლი მაინც ქართველი უნდო ჰყოლოდა. სპარსული მატიანეების ცნობით, თეიმურაზ-ხანზე (თეიმურაზ პირველზე) განრისხებულმა შაჰ-აბასმა 1616 წელს დაიფიცა: საქართველოს ისეთ დღეს გავუთენებ, რომ თითო ქართველი ტყვე ქალი თითო აბაზად იყიდებოდესო. და იმავე წელიწადს, როცა ის საქართველოს შემოესია, „ირანელმა ჯარისკაცებმა ცოტა ხანში დაახლოებით სამოცდაათი ათასი ქართველი დახოცეს და ასე, ასოცდაათ ათასამდე ბიჭი და გოგო ტყვედ წაასხეს. მატიანის ცნობით, ამ გამარჯვების შემდეგ ერთი ყიზილბაში მეომარი შაჰ-აბაზს ეახლა, წინ აბაზიანი დაუდო და სთხოვა, ერთი ქართველი გოგო მომყიდეო. შაჰს თავისი ფიცი მოაგონებია და ბრძანა, ტყვეთაგან რომელიმე ლამაზი გოგონა ამოერჩიათ და იმ ჯარისკაცისათვის მიეცათ“ (ნ. ფალასფი, „შაჰ-აბას პირველის ცხოვრება“, ტომი II, თეირანი, 1968 წელი, გვერდი 223-224).

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ირანში მხოლოდ ტყვედ წაასხმული ქართველობა ცხოვრობდა, — იქ ბევრი ქართველი ჩადიოდა ბედის საძიებლადაც. მდაბიო, ვაჭარი, თავადი. ისინი ირანში ტოვებდნენ არა მარტო ბედის უკუღმართობით განწირულ თუ ნებივრებს სხეულს, არამედ ქართულ ნივთებს, ქართულ ხელნაწერებს. წყაროებით ცნობილია, რომ ზემონახსენებ მეფე გიორგის ჰქონდა მშვენიერი ქართული ბიბლიოთეკა და თუმცა ეს ის გიორგია, რომელიც გიორგინ ხანის სახელით შიშის ზარსა სცემდა ირანის აღმოსავლეთ საზღვრებს და სპარსეთის მოწინააღმდეგეთა თავებისაგან ხორას აგებდა, ის გიორგია, რომელსაც ირანის სასკოლო სახელმძღვანელოებში ასე ქება-დიდებით აყვავებენ ახალგაზრდობას, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის უზადო მამულიშვილი იყო, რომლის დაკვეთით „აღიწერა“ სპას ლექსიკონი და რომელიც ყანდაარიდან სპას სწერდა: „დიაღ კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყევით“.

სად დარჩა, სად გაიფანტა მისი უნიკალური ქართული კოლექცია? ჩვენი აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის წიგნსაცავში ირანში ათას ჭირგამოვლილ ბევრ ხელნაწერს უპოვია მყუდრო ბინა, მაგრამ ბევრი, კიდევ ბევრი ქართული მანუსკრიპტი ირანისა და ავღანეთის დაბა-ქალაქებში მიგველის. როცა თეირანის, ისპაანის, შირაზის, ყაზვინის ბაზრებში საათობით იქექებით ძველი ბეჭდებით, ფარღულებით, სამაჯურებით, საყურეებით ქინძისთავებით, მონეტებით, ბალთებითა და სხვა ათასი ანტიკვარული წვრილმანით სავსე გობებსა და ხონჩებში, მესამედ გამოცლით ანგარიშიანი მასპინძლის გამოგზავნილ სურნელოვან ჩაის და მაინც რომ ვერაფერი აგირჩევიათ საყიდლად, თავაზიანი მედუქნე მოგიახლოვდებათ და გკითხავთ: „ბატონო, რას ეძებთ?“ — „ქართული ხომ არა გაქვთ რამე?“ — „ქართული?“ — გკურდზე მიდგება და თორმეტიოდე წლის ბიჭს გასძახებს „ბატონო რეზა-ყოლი, მობრძანდით ერთ წუთს“. რეზა-ყოლი მოდის და თავიდან ფეხებამდე გათვალიერებთ. — „იქ ქართული ბალთები რომ გვქონდა, ხომ არ გაყიდულა?“ რეზა-ყოლი ზედა იარუსებისაკენ იყურება. — „გაიყიდა, ბატონო“ და ცარიელი ჭიქები მიაქვს. — „ორი დღის წინათ იყიდეს ჰიპებმა“. ესეც თქვენი ჰიპები!

ვისაც რევოლუციამდელი ქართული პრესა უფურცლავს, ასეთი ცნობებიც შეხვედრია. როგორც გავიგეთ, ირანის ამა და ამ ქალაქში ესა და ეს ძველი ქართული ხელნაწერი უყიდია ერთ ამერიკელ კომერსანტს და თავის ქვეყანაში წაუღიაო.

ცნობილმა ირანელმა სწავლულმა მოჰამედ-თაყი დანეშ-ე ფაჭუჰმა ერთ დღეს თეირანის უნივერსიტეტში მითხრა: ხვალ თუ შეგოიველით, ერთი ხელნაწერის ფოტოპირს გიჩვენებთ, მგონი, ქართული უნდა იყოსო. მეორე დღეს, როცა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში შევედი, მართალი გითხრათ, მღელვარებას ძლივს ვიოკებდი. აღმოჩნდა არა მარტო უცნობი ნუსხა, არამედ დღემდე უცნობი პოეტი — ისე თუში. დაბალი და მაღალი შაირით გაწყობილ ქართულ წიგნს ეწოდება „სამეცნიერო“: მისი ავტორი იასე გამაჰმადიანებული ქართველია, მას რჯული შეუცვლია, მაგრამ ენა — არა. ძირითადად აქ თავმოყრილია ქრისტიანობის დოგმების განსაჭიქებელი და ისლამის შესაქები პოლემიკური ლექსები. პოეტი შაჰ-აბასის თანამედროვეა (იგი მის ლექსში მოხსენებულია როგორც ცოცხალი). ამდენად, საქმე გვაქვს აღორძინების ხანის ერთ-ერთ საინტერესო ლიტერატურულ მოვლენასთან.

რა თქმა უნდა, იასე თუშს სიტყვის უბადლო ოსტატს ვერ ვუწოდებთ, ის კი არა, ზოგან მისი ლექსი მოიკოჭლებს კიდეც. იასეს, ეტყობა, სამშობლოდან დიდი ხნის გარდასვენილ კაცს, ქართული ლექსის სმენაც ღალატობს აქა-იქ, მაგრამ ამით ამ კრებულის მეცნიერული მნიშვნელობა როდი მცირდება. სხვა რომ არა იყოს რა, ეს არის ერთ-ერთი პირველი სპარსული ლექსიკონი და ერთ-ერთი პირველი ქართული ლექსიკონიც, რადგან ლექსების ყოველ ქართულ სიტყვას იქვე უწერია მისი ზუსტი სპარსული შესატყვისი. „სამეცნიერო“ ერთი პირველი წყაროა, სადაც ნახსენებია რუსთაველი.

აი ერთი სტროფი ამ კრებულიდან:

„გახსონს, გულო, ოდეს თქვ-თემ აზატიურ მინავარდი,
გითხარ: ბოლოდ სისხლად შეგრჩეს კეკლუცთაგან მინა, ვარდი.
არ ისმინე, რად გაები მათ ბადესა მინავარდი,
შენი სისხლად მოღვრილი თვალიდამე მინა ვარდი“.

ის ფაქტი, რომ იასეს ქართულ ლექსებს იქვე სპარსულად თარგმნიან, შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ პოეტს ქართულმა აუდიტორიამ უკვე იმდენად აღარ იცის დედაენა და მხატვრულ ნაწარმოებს კარგად ვერ იგებს. ეს ბუნებრივიც არის. ირანში მოხვედრილი ქართველობა — ნელ-ნელა სპარსელდებოდა და ქართველობის მხოლოდ ერთადერთ ნიშანსღა ეჭიდებოდა, — გვარად „გურჯის“ ირქმევდა. ირანში შეხვდებით არა მარტო გასპარსელებულ, არამედ გაქურთებულ ქართველებს და თითქმის ყველა ისინი გვარად „გურჯია“. თეირანსა და ირანის სხვა ქალაქებში წაწყდებით ექიმების, თერძების, ოქრომჭედლების, მედუქნეების ფირნიშებს, რომლებზეც სპარსული ასოებით ლამაზად არის გამოყვანილი „გურჯი“.

1947 წელს ცნობილმა ქართველმა ირანისტმა ვლადიმერ ფუთურიძემ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო სტატია „ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე“ (ახალგაზრდა, ტომი I, 1947 წელი, გვერდი 287), სადაც ქართველ ხაზოგადოებას გააცნო სპარსელი ისტორიკოსის ნასრაბადელის (XVII საუკუნე) მატიანეში მოხსენებული ექვსი ირანელი ქართველი, რომლებიც სპარსულად სწერდნენ ლექსებს: ქაიხოსრო-ხანი, ზეინალ-ბეგი, სოჭრაი-ბეგი, ფაზლ ალი-ბეგი, შირმადიხ-ბეგი და ალი-ბეგი. სწორი არ იქნებოდა ეს პოეტები სპარსულ პოეზიაში რეზონანსის მქონე პოეტებად მიგვეჩნია. ამის მიუხედავად, მათი იგნორირებაც მიუტევებელია. მაგრამ სპარსულ პოეზიაში დიდი რეზონანსის მქონე პოეტებიც ყოფილან, რომელთა ქართველობა უკვე ეჭვს აღარ იწვევს.


კარგა ხანია შემჩნეული გვქონდა, რომ სეფიანთა და ყაჯართა ხანის (XVI-XIX საუკუნეები) რამდენიმე სპარსელი პოეტი წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო. კანტიკუნტი ცნობა შემოწმებასა და სხვა ბაუთებით დადასტურებას მოითხოვდა. ირანში ყოფნისას საშუალება მოგვეცა საფუძვლიანად გავცნობოდით როგორც ამ პოეტების, ისე მათზე არსებულ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ უამრავ საარქივო მასალას. გაირკვა, რომ 16 სპარსელი პოეტი წარმოშობით ქართველია, ზოგი ბავშვობაშია გატაცებული საქართველოდან, ზოგი კიდევ ირანში გადახვეწილი თუ წასხმული ქართული ოჯახის შვილია ან. ეს პოეტები. ახთარ გორჯი, მისი ძმა ნეშათი გორჯი, იუსუფ გორჯი, მისი შვილიშვილი თალებ გორჯი, ხოსროვ გორჯი, ბეჭზად-ბეგი, ეშთეჭა გორჯი, ვაფაი-ამრაფი, ჭაუქაბი გორჯი, ნეჟად გორჯი, ქამი გორჯესთაწელი, იამინი გორჯი, შოლა, მაქნუნ გორჯი და როქნ-ე გორჯი.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა ესენი ქართველ პოეტებად მიგვეჩნია. არა, ისინი ქართული წარმოშობის სპარსელი პოეტები არიან და სპარსულ ლიტერატურას ეკუთვნიან, მაგრამ მათი წარმომავლობის გათვალისწინებაც ხომ მეცნიერების ინტერესებში შემოდის.

თავის ცნობილ ფერეიდნულ ტექსტებში აკადემიკოს არანოლდ ჩიქობავას შეტანილი აქვს ერთი ამბავი, თუ როგორ გაუმასპინძლდა ფერეიდნელი სტუმართმოყვარე ქართველი გლეხი ნასირა ტახტის მაძიებელ ქარიმ-ხანს (1750-1779) და მადლიერმა სტუმარმა გამყრების შემდეგ როგორ დაუფასა პურად მასპინძელს ამაგი, როგორ აქცია იგი ხანად. 1969 წელს, როცა ირანში კონსულტანტად ვახლდი ქართული ტელევიზიის ჯგუფს (გურამ პატარაია, ლამარა ბოკერია, ირაკლი ონოფრიშვილი), შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ერთი მარტყოფელი მოჭალაქის ოჯახში დაცულ ფირმანებსა და სხვა სპარსულ საბუთებს, გაცმულს ჩვენი მასპინძლის წინაპრებისადმი. ამ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ჩვენი მასპინძელი ქარიმ-ხანის მასპინძლის უშუალო შთამომავალი ყოფილა. იგი გულუხვობაში თავის წინაპარს არ ჩამორჩა, რაც იმითაც დაამტკიცა, რომ ამ საბუთების დიდი ნაწილი (შვიდი ცალი) თან გამოგვატანა (ისინი ჩავაბარე ჩვენი აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს). ფერეიდანში ქართველთა ცხოვრების ამსახველ მასალებს ჩვენ დღემდე არ ვიცნობდით და ეს საბუთები ამ ხარვეზის შესავსებად ძვირფასი წყარო იქნება. ორ მათგანს უკვე ვამზეურებ ზემონახსენებ წიგნში.


მუსულმანურ საფლავს ვერაფრით შეატყობთ, ქართველისაა თუ სპარსელისა. ამიტომ ქართველთა კვალის ძიება ასეთ სასაფლაოებზე ფუჭი შრომაა. ირანში სულ ამას ვფიქრობდი. ხომ ცნობილია, რომ ზოგი ქართველი მხოლოდ გარეგნულად თათრდებოდა, ნუთუ ისინი არ უსაფლავებიათ ქრისტიანულ ეკლესიებსა და სასაფლაოებზე? მაგრამ ირანში ქრისტიან ქართველთა სასაფლაოები არ არის. მაშინ გამახსენდა ერთი ცნობა, რომ ქრისტეს მშობავი ქართველები ეკედლებოდნენ სომხურ თემს, კვირაში ერთ დღეს აქ მიაშვენებდნენ ქართულ ხატსა და სახარებას. და ვიწყე ირანში შერჩენილი სომხური ეკლესიებისა და სასაფლაოების შემოვლა. ისპაანის გარეუბნებში მიმოფანტული სომხური ეკლესიების ეზოებში მივაკვლიე ქართული წარწერის მქონე ოცდაორ საფლავს. ზოგან ერთი ოჯახიდან რამდენიმე კაცია დასაფლავებული. ეტყობა, აქ მათ საგვარეულო სამკალე ჰქონდათ. საფლავები ძველია (მე-16 საუკუნის დამლევიდან მოყოლებული) და მრავალმხრივ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. აი ზოგი მათგანის წარწერა: „ქ. უფალო იესო ქრისტეო, შეიწყალე და კურთხევით მოიხსენიე მონა შენი გორელი თაყაინისშვილი ზაალი...“, „...ზურაბ წოდებული, წლისა ათვრამეტისა, ქართველი... მკვიდრნო საქართველოსანი“. „ქ. ესე არს საფლავი თაყინანთ გოგინას შვილის დავითისი. ღმერთმან შეუნდოს. (წელსა 1651)...

მს წერილი ისედაც გაგვიგრძელდა და აქ მკითხველს თავს არ შევაწყენ იმ სასიამოვნო განცდებზე, რომელიც ყველა სპეციალისტს ეუფლება, როცა იგი თავის დარგში ჯერ კიდევ მიუგნებელ, თუნდაც მცირე მასალას წააწყდება და რაც, საბედნიეროდ, ამ მივლინების დროს ჩვენცა გვქონდა. მათი ვიწრო პროფესიული მნიშვნელობაც არ მიბიძგებს აქ ვილაპარაკო მათ შესახებ. ერთ ჩემს „ხადავლზე“ კი მინდა შევჩერდე. როგორც ცნობილია, ირანში ბევრი სხვადასხვა ენა და დიალექტია შენახული. სპარსელი ფილოლოგები წარმატებით სწავლობენ მათ. ისედაც გამოდის პერიოდულად დემოგრაფიული ცნობები, სად რომელ პროვინციაში რა ენისა თუ კილოვაკის მატარებელი ხალხი ცხოვრობს. მათ შორის, როგორც წესი, ყველგან აღნიშნულია ქართული ენაც. ნაჩვენებია ქართულის გავრცელების არე და ამ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი. სამწუხაროდ, არ მქონდა დრო ჩამეწერა ამ ენებისა და კილოკავების ნიმუშები და ჩვენი ლინგვისტები ცნეთი არმაღანით გამეხარებინა. მოვახერხე მხოლოდ ბახთიარული და ყამყაური დიალექტების ჩაწერა, ისიც მაგნიტოფონით. სამაგიეროდ, საკმაოდ ბლომად ჩავიწერე ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, რომელიც უკვე გავამზადე სასტამბოდ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელ მაია მაჭავარიანთან ერთად. ეს მასალები უკვე იწვევს როგორც ენათმეცნიერების, ისე ფართო საზოგადოების გარკვეულ ინტერესს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის დახმარება, რომელიც ამ საქმეში ფერეიდნელმა ქართველმა, თეირანის ერთ-ერთი ძველი საშუალო სკოლის დარ ულ-ფუნუნის მასწავლებელმა ბატონმა რეზა მიქელანმა გამიწია. ერთხელ, ხსენებულ მიქელანის ოჯახში ერთი ქართველი ყმაწვილის მეტყველებაც ჩავიწერე და დავპირდი, საქართველოში რომ ჩავალ, ამ შენს ნათქვამს წიგნში დავბეჭდავ-მეთქი. რადგან წიგნის გამოსვლას ცოტა კიდევ დააგვიანდება, ხოლო ვიცი, რომ ყმაწვილები სულსწრაფნი არიან, მინდა აქ წინასწარ გამოვამზეურო მისი ნაამბობი და ჩემი წერილიც ამით დავამთავრო: „ერთი კაკალ იყო. ემას ერთ დედა ჰყუანდა. ერთი ქუა იყო. ემ კაკალმა გაგორდა და ემ ჭუას თავი ჰკრა. ემ კაკალმა უთხრა: „ქუა, თავი რათ გამიტეხე?“. ემ ჭუამ უთხრა: „მა, ბალახმა ჩემ ძირზე რათ გამწონდა!“ — „ბალახო, ემის ძირზე რათ გაგამწონდი?“ — მა, ცხორმა რათ მამძუა!“ — „ცხორო, რათ მაძუე? — „მა, გელმა დუმა რათ მამგლიჯა!“ — „გელო, დუმა რათ მაგლიჯე?“ — „მა, ციცამ რათ დამფხლანჭა?“ — „ციცა, რათ დაჰფხლანჭე?“ — „მა, რასთი ღმით დანი არ დამიგდეს!“



სურათებზე: ზევით — ქარიმ-ხანის მიერ ქართველი გლეხის ნასირასათვის გრძელი ფირმანის ფრაგმენტი; ქვევით — XVII-17 საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ქართული საფლავის ქვა წარწერით — „ქ. ღმერთო, შეიწყალე გორძაშვილი გიორგი...“

მთებს იჭით დაღესტანია!..



● აულები! აულები საოცრებაა!

რევაზ დვალიშვილი

ახაჩყალა ტარკი-ტაუს მთასა და კასპიის ზღვის პირას არის გაწოლილი. ქალაქი ზღვას ეკვრის, ქალაქს მთა ეკვრის რკალად... მახაჩყალას ქალაქიდან გამავალი გზები სელებივით აქვს გაშვერილი... გზები მწვერვალებისაკენ მიდიან, აულებისაკენ...

ერთხანს რბილი სერებია, მერე დაკლაკნილი შარა, ბახმაროს გზას ჰგავს, კრიმანჭულივით მისხვეულ-მოსხვეულს...

ვისაც სვანეთში უვლია ხანჯლის პირის სიგანე ბასრ, ციცაბო გზებზე, მისთვის უცხო არ არის დაღესტნის მთები, არც ეს ლამაზი ტერასებია უცხო, მაგრამ... აულები! აულები საოცრებაა! მერცხლის ბუდეში რომ არწივები სახლობდნენ სწორედ ეს არის დაღესტნური სოფელი!

მთიდან დაბრუნებულმა რასულ ღამზათოს ვუთხარი: ქართველ კაცს მთა და კლდე არ უკვირს, აულებმა კი გამაკვირვა-მეთქი... გაიღიმა უცნაური ჯადო ღიმილით და მითხრა: „პატარა ერებს დიდი ხანჯლები სჭირდებოდათ, მტრის შიშით ღამის ზეცაში აცივდნენ ჩვენი წინაპრები. ახლა ბარში ცხოვრებაც აღარ არის საშიში, მაგრამ, მოგეხსენებათ, მამა-პაპეულს ძნელად ელევა მთიული კაცი“.

ლაპარაკს შევყევით.

— გნებავთ თქვენი ლექსი წაგიკითხოთ ქართულად-მეთქი, ვუთხარი რასულს. გაეღიმა და თვალები სულ ერთიანად დაუპატარავდა.

მთები ჩამორჩნენ.... გზა ჭალას ეკვრის,
ზოგან მზე ცხარობს, ზოგან ჩრდილია...
ჰა, შემოვიჭერ შენს სახლში ლეკი,
რისთვის არ ტირი, არ გეშინია?
როგორ შემოგრჩა ღიმი სახეზე?
რად არ გამირბი დამფრთხალი, ნეტავ?
ნუთუ საშინელ ჩემს თავდასხმებზე
არ გიმღეროდა ძიძის წინ დედა?
ან მამას მაინც არ უთქვამს შენთვის
ძველ წუხილსა და ტკივილზე სვნეშით,
რომ მე ვიყავი ყაჩაღი ერთი
და თქვენს მეზობლად ვცხოვრობდი მთებში?
რომ არ ვარჩევდი ღარიბს და მდიდარს,
დავჩეხდი ჩემი ველური ცხენით...
მართლაც საშიშარ მეზობლად მთვლიდა
დაუძრახავი ქვეყანა შენი:
თავს დამღეროდნენ ნანად შენს სწორებს
საქართველოში დედები მაშინ:
„ნანინა, შვილო, ისმინე, თორემ
ლეკი მოვა და წაგიყვანს მთაში...“

დღეს ძველ კოშკებზე მტრედები სხედან,
ბალხს გაუწოდა მარჯვენა ხალხმა.
ლეკის სახელით ქართველი დედა
თავის მალხაზებს არ აფრთხობს ახლა.
შენ დაიბადე კარგ დროს,
პატარავ —
და შენს მშობლიურ ქვეყნის მიწაზე
ლეკი სტუმარი, შენს გასახარად,
მაღლა, ვით ვარსკვლავს, ხელში გიტაცებს.

...მრავალ ენაზე მოლაპარაკე დაღესტნელები ცხოვრობენ ტაბიად და ხმაშეწყობილად. ამ ციცაბო აულებში ახლა ცივილიზაციის ყველა სიკეთეს შეხვდებით. ტელევიზორის რეტრანსლატორები ისეთ წვერწვეთილ კლდის ქიმებზეა წამოდგმული — ჯადოქრის ატანილი გეგონებათ!

უბედურებამ ქურდივით იცის ჩასაფრება... მიწისძვრა — სტიქიონის რისხვა უცრად დაესხა თავს მშვიდად მოსახლე დაღესტანს.

დადგა ფეხზე მთელი ქვეყანა — საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოვიდნენ მშენებლები... ლეკეთს მთელი საბჭოეთი ამოუდგა მხარში. იმ დღესვე დაიწყო შენება.

ქართველებს რა გაგვაჩერებდა, მეზობელს ჭირის დღე ჰქონდა და ჩვენი მშენებლებიც დაიძრნენ დაღესტნისაკენ. აქ ახლა 50 ქართველი მუშაობს, ძირითადად ახალგაზრდობა, მშენებელთა ჯგუფს პავლე ქურდაძე ხელმძღვანელობს, ისიც ახალგაზრდაა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი მშენებელი. საბავშვო ბაღსა და სკოლას აშენებენ უსასყიდლოდ, დიდ, ნათელ სკოლას.

ჩვენ რომ მივედით, ბიჭები კამათობდნენ სადარბაზოში რა ამოეკვეთათ: — სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების, თუ — ისწავლე სწავლის მძებნელო!... აშენდება ოთხსართულიანი სახლი 900 მოსწავლისათვის, იქნება ბაღი და მოედანი... ახწავლიან ბავშვები და თაობები გაიგებენ, რომ ავბედობის დროს ლეკებს ქართველებმა სკოლა აუშენეს საჩუქრად.

ათისთავი გიული ბახტაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტია. ბიჭები ძალზე მეგობრობენ ვოლგოგრადელებთან. აქ სხვებიც არიან, — ლენინგრადელები, ტაშკენტელები, ბაქოელები, მაგრამ ვოლგოგრადელებთან მეტისმეტი მეზობლობა აქვთ... ხან მასალას სესხულობენ ერთმანეთისაგან, ხან ხელსაწყოს... იმ დღეს ამწე ათხოვეს ჩვენებმა მეზობლებს. ასე იწრთობა ძმობა და მეგობრობა.

ირაკლი ბოჩორაძე, ვიქტორ თეთრაძე, სპარტაკ პოლიევი, აკაკი ჭინჭარაული, გიორგი ბიჭიკაშვილი და კიდევ ბევრი მარჯვე ბიჭი ადგას ამ სახსელო საქმეს.

ამშებს იქით დაღესტანია. მალე დაამთავრებენ საქმეს მშენებლები. სექტემბერში ზარიც აწკრიალდება. თვალებბრიალა გოგო-ბიჭები მერხებს შემოუსხდებიან. შემობრძანდება დარბაისელი მასწავლებელი და მოუყვება ბავშვებს ხალხთა მეგობრობაზე, იმასაც ეტყვის, რომ ეს შენობა ჩვენი ძმობის სიმბოლოდ დგას დაღესტნის ცენტრში.

იქნებ გადაშალოს კიდეც მასწავლებელმა დიდი ქართული წიგნი, ჩვენი ნამუსი და სახარება და ბავშვებს წაუკითხოს: — ოდეს კაცსა გაუჭირდეს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო!

მოუშუშებელი ჭრილობა

ცხრა ძე ჰყავდა,
ცხრა ვაჟკაცი დედას...

გიორგი ლეონიძე.

ვამაზია ლეჩხუმის ქუჩა, ნაძალადევის აღმართზე შეფენილი, მწვანეში ჩამჯდარი საცხოვრებელი სახლები... მარცხნივ, გორაკზე კიბის საფეხურებია შეტეხილი. ორსართულიან კოხტა შენობას მზრუნველი, გამრჯე ხელი ატყვია. დაკრიალებულ კარმიდამოს ხეხილისა და ვაზის ხეივანი მატებს ლაზათს.

მხიარულება, სიხარული სუფევდა ადრე თბილისის ამ ეზოში. ოჯახის წევრები სუფრას რომ შემოუსხდებოდნენ, კაცს წვეულება ეგონებოდა. ცხრა შვილს, ცხრა ვაჟკაცს ზრდიდნენ ვანო და ვასილი გაგნიძეები და სიხარულსაც ისინი ამკვიდრებდნენ ფუძეზე.

მაგრამ დიდი ოჯახის სიხარულს ომმა შეუკვეცა ფრთები. პირველსავე დღეებში ვასილიმ სამშობლოს დასაცავად სამი ვაჟკაცი გაგზავნა. მალე მეუღლემაც ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა და ოჯახში მათ მაგივრად ოთხი ცარიელი სკამი დარჩა. ხშირ-ხშირად ჩამოუვლიდა ვასილი ფრონტზე წასულთა სკოლებს, მეასწორებდა, თან ოხვრას დაატანდა: სადა ხართ, ხომ არაფერი გიჭირთო...

გული სტკიოდა, დარდი აწუხებდა, მაგრამ ექვს მცირეწლოვან შვილს უმამობას არ აგრძნობინებდა. რაჭის მთებში ლაღად აღზრდილი ქალის შეუპოვარმა, მტკიცე ბუნებამ გაჭირვებაში იჩინა თავი. მართალია, ღიმილი იშვიათად ესტუმრებოდა, მაგრამ ცრემლიც არავის დაუნახავს მის თვალზე, გული იმედით სულდგმულობდა.

იშოვნიდნენ თუ არა თავისუფალ დროს, მეზობლის ქალები ვასილისთან იკრიბებოდნენ. უყვარდათ მისი მტკიცე, იმედიანი საუბარი.

— რა ვუყოთ, ქალო, ომია. ამოდენა ორომტრიალში წერილი, ალბათ, სადმე დაიკარგა, ან დრო არ ჰქონდა მის დასაწერად. დღე მიიწურა და ღრუბლებს მთვარე უღელტეხილზე იშორებს გზიდან. ძილის დრო არის, შენ ლულავ თვალებს და სტუმრის ხელში იძინებ მშვიდად. ხევში მდინარე მიქუხს და მიქრის, კლდეზე გიჟურად იმსხვრევა თანაც, შენ კი შენს სახლში კეთილ ფიქრით კეთილი ღმერთის ნანას.

ამ ღრმაში ყველაფერია ნათქვამი, — ძველიცა და ახალიც...

...ერთი გენახათ, როგორ გვხვდებოდნენ მთიელები, ოჯახში თვალი ვერაფერზე გაგვეჩერებინა — სტუმარს მოსწონსო და გვთავაზობდნენ.

აქ თითქმის ყველა საუბარი შამილით იწყება და შამილით თავდება, შამილი აქ პიროვნება აღარ არის... შამილი თავისუფლებას უფრო ნიშნავს, ვიდრე ადამიანს.

შამილის აული, შამილის საჩრდილობელი... შამილის ბილიკი... ჰყვებიან ლეკები თავიანთი გმირის ამბავს, როგორც ჩვენ ვყვებით არსენაზე, ერეკლეზე, დავით აღმაშენებელზე...

იღიმებიან მასპინძლები — ლეკებს რომ ვეძახით დაღესტნელებს. დაღესტანში 42 ეროვნებაა — ავარიელები, ლეკები, ყუმუხები, დარგინელები, ლაკტები და სხვები... აქ 42 ენაა, დიალექტი კი არა, ენა, და ყველანი მაინც დაღესტნელები არიან!

ლეგენდას ჰყვებიან ლეკები ასეთს: ღმერთს თურმე დედამიწაზე ენა მოჰქონდა ადამიანებისათვის, ლეკეთზე რომ გადაიარა, ფეხი წამოჰკრა მწვერვალს და ენები დაებნა... დაებნა და ყველა აულს თითო ენა ერგო. ამიტომ ვლაპარაკობთ ამდენ ენაზეო.

საჭმელზეც უარი თქვა. ყველა ერიდებოდა, ფეხაკრეფით დადიოდნენ. საშინელი ბოლმა ისე გადაიტანა, ერთი არ დაუკვნესია. ცრემლი არავის დაანახა. მერე თითქოს გამოერკვა, შვილები მოიკრიბა.

— აუცილებლად უნდა წავიდეთ!

ჭკვიანი არაფერი უთქვამს. მიუხვდნენ სურვილს ვაჟები.

თითქოს ეზარგია მოემატა. აფუსფუსდა. გადაწყვეტილი აქვს ამ დღეებში გაემგზავროს და ინახულოს უჯროსი ვაჟის საფლავი, დაიტიროს, მკერდზე ერთი მუჭა ქართული მიწა მოაბნიოს...

ახლა დედისათვის ყველაზე დიდი დარდი ვახტანგია. 1943 წლის 28 აპრილს მიიღო მისგან წერილი, პოლონეთში მივდივართო, შემდეგ კიდევ ერთხელ მოვიდა ბარათი — უთარიღოდ და უმისამართოდ. შიგ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ეწერა — „პოლონეთში ვარ, წინ მივდივართო“. ეს იყო და ეს. მისი ასავალ-დასავალი დაიკარგა, მის შესახებ დღემდე ჭორაფერი გაიგო.

წლებსა და იმედში გადის დღეები, თვეები. წლები... ნათქვამია, ადამიანი იმედით ცოცხლობსო, იმედით ცოცხლობს ცხრა ვაჟკაცის დედაც. იქნებ მთლად არ გაუწირია ბედს და ვახტანგი ცოცხალია... იქნებ...

ვალიდა აბაშიძე

დაგეძებენ, მოგელიან

ნოე ნოჯოს ძე გაბუნიას,

დაბადებულს 1921 წელს გალის რაიონის სოფელ რეფი-შეშლეთში, ეძებს ძმა — **დავით გაბუნია,** მცხოვრები გალის რაიონის სოფელ ახიგვარაში.

სერგო და შალვა ჯიმოთეს ძე მალანიებს,

დაბადებულთ 1917 და 1922 წლებში ცხაკაიას რაიონის სოფელ ნაქალაქევში, ეძებენ დედა — **იუსტინე,** მამა — **კიმოთე,** დები — **ვერა, ვალია მალანიები,** მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, ყდანოვის ქუჩა № 41.

დავით (ხუტა) ალექსანდრეს ძე მიქაძეს,

დაბადებულს 1922 წელს აბაშის რაიონის სოფელ ჭოლობანში, ეძებენ დედა — **ივლიტა,** მამა — **ალექსანდრე,** და — **თალიკო,** ძმა — **ტიტიკო მიქაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, VI კვარტალი, XIII კორპუსი, ბინა № 37.

აპაკი კონსტანტინეს ძე ბაღდავაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ვანის რაიონის სოფელ ჰყვიშში, ეძებენ მეუღლე — **მარო,** შვილები — **მიხეილ, ნუნუ, ლიანა, ბაღდავაძეები,** მცხოვრებნი ქალაქ სამტრედიაში, კოტე მესხის ქუჩა № 12.

მალაქია (ვანია) და არჩილ ესტატეს ძე მიქელაშვილებს,

დაბადებულთ 1919 და 1923 წლებში ქალაქ თბილისში, ეძებენ მამა — **ესტატე,** დედა — **მარიამ,** და — **მედიკო მიქელაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, კლდიაშვილის შესახვევი № 8.

დავით მირიანის ძე ჩხარტიშვილს,

დაბადებულს 1918 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში, ეძებენ დები — **ოლია, თამარ,** ძმა — **ელისე ჩხარტიშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, მე-18 კორპუსი, ბინა № 23.

ვლადიმერ, ნიკოლოზ და გიორგი ბიქტორის ძე ჩოგოლაშვილებს,

დაბადებულთ 1909, 1912, 1914 წლებში აბაშის რაიონის სოფელ სამიქაოში, ეძებენ დედა — **ნატა,** და — **თინათინ ჩოგოლაშვილები,** მცხოვრებნი სოფელ სამიქაოში.

ვლადიმერ ილიას ძე ვერძეულს,

დაბადებულს 1900 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში, ეძებენ მეუღლე — **ეკატერინე,** შვილები — **მარიამ, შალვა, რუსუდან** ვერძეულები, მცხოვრებნი სოფელ ბაზალეთში.

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ვერძეულს,

დაბადებულს 1922 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში, ეძებს დედა — **ეკატერინე,** დები — **მარიამ, რუსუდან,** ძმა — **შალვა,** ძმისწული — **ნანა ვერძეულები,** მცხოვრებნი სოფელ ბაზალეთში.

ირაკლი ვასილის ძე ჭაფიანიძეს,

დაბადებულს 1912 წელს ონის რაიონის სოფელ ხაიეთში, ეძებენ მეუღლე — **ლოლა,** შვილები — **კარლო, ომარ,** შვილიშვილები — **ლია, ქეთევან, ირაკლი,** ძმა — **სოკრატ ჭაფიანიძეები,** მცხოვრებნი ყვარელში, საბჭოს ქუჩა № 1.

სპორტი




რომან რურუა



თინა ლეკვეიშვილი



შოთა ლომიძე



დიტო შანიძე



ომარ შხაკაძე



სოსო ქარელი



ნინა დრონოვა



გურამ გოგოლაური

ლუბოვ ასათუროვა



ავერი მატკავა და
ვლადიმერ კრატასიუკი



მიხეილ გოგუსი



ლევან თედიაშვილი



ვიქტორ სანაევი

გამარჯვებულნი

დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა. საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი სიძლიერე. სპარტაკიადის დღეებში დამყარდა 18 მსოფლიო, 19 ევროპისა და 31 საკავშირო რეკორდი.

ქართველმა სპორტსმენებმა სპარტაკიადაზე ოქროს 28, ვერცხლის 17 და ბრინჯაოს 33 მედალი მოიპოვეს.

სულ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მოაგროვეს 801,5 ქულა და მეექვსე ადგილზე გამოვიდნენ. აი როგორ გამოიყურება სპარტაკიადის საბოლოო ცხრილი.

რსფსრ	2503 ქულა
მოსკოვი	2293,5
უკრაინა	1956
ბელორუსია	1062,5
ლენინგრადი	970
საქართველო	801,5
აზერბაიჯანი	577
ლატვია	477,5
ესტონეთი	353,5
ლიტვა	340
უზბეკეთი	256,5
სომხეთი	255,5
აზერბაიჯანი	249,5
მოლდავეთი	201,5
ყირგიზეთი	163
ტაჯიკეთი	60
თურქმენეთი	30

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში წარმოვიდგინეთ სპარტაკიადის ოქროს რამდენიმე ლაურეატი. ამჯერად გთავაზობთ გამარჯვებულთა სურათებს და გაგაცნობთ სპარტაკიადის კიდევ ექვს ჩემპიონს.

თინათინ ლეკვეიშვილი. — თინათინი გვაცვიფრებს ძალდაუტანელი, ლამაზი სტილით. იგი ცისფერ ბილიკებზე ჭართველი მოცეკვავე ქალივით რაღაც შინაგანს, განუმეორებელს ავლენს, რითაც ესოდენ მიმზიდველი, თუ გნებავთ, ნარანარიც არის. — ასე დაახასიათა ქართველი გოგონას წარმატება საბჭოთა კავშირის მოცურავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ინიასელსკიმ, როდესაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შემდგარ თინათინს 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოპოვებულ ოქროს მედალს გადასცემდნენ. მაგრამ თინას წარმატება ამით როდი ამოიწურა. მეორე დღეს თინამ კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა — ამჯერად იგი უძლიერესი იყო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. კვლავ ოქროს მედლის გადაცემის ცერემონია, მილოცვები და გამარჯვებულის პატივსაცემად აყერებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნი.

თავისებური რეკორდი დაამყარა სპარტაკიადაზე მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა ველოსიპედისტმა ომარ შხაკაძემ. სპრინტულ რბოლაში იგი ამჯერადაც მიუწვდომელი აღმოჩნდა მეტოქეებისათვის და მერვედ(!) მოიპოვა საბჭოთა კავშირში უძლიერესის სახელი.

შესანიშნავად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, მსოფლიოს ჩემპიონმა შოთა ლომიძემ საზეიმო ვითარებაში ჩაიბარა ძვირფასი ნადავლი — საბჭოთა კავშირის თასი, რომელიც ოთხ წელიწადს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაიდებს ბინას.

გუნდის წარმატებაში უველაზე მეტი წვლილი შეიტანეს შოთა ლომიძემ, ტარიელ ალიბეგაშვილმა და ლევან თედიაშვილმა. სამივე სპორტსმენი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

საქართველოს ტანმოვარჯიშე ვაუთაგან სპარტაკიადაზე უველაზე უკეთ გამოვიდა მიხეილ ბიგუსი. ვეტერანმა სპორტსმენმა ოქროს მედალი მოიპოვა ღერძზე ვარჯიშში.



ანატოლი მოშიაშვილი



ჯემალ მეგრელიშვილი



ზურაბ ხოფერია და
ნოდარ ჩარაევი



ტარიელ ალიბეგაშვილი

სპორტული ქრონიკა

● კვლავ წარუმატებლად ითამაშეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა. 6:0 (!) — ასეთი ანგარიშით მათ წააგეს მატჩი მოსკოვის არმიელებთან. ასე უხეიროდ დინამოელებს არასოდეს უთამაშიათ. წაგება მით უფრო გულსატკენია, რომ ცსკა წლეულს საერთოდ წარუმატებლად გამოდის. დამარცხების მიზეზი ჩვენი ფეხბურთელების უპასუხისმგებლო, მოუნდომებელი თამაში გახლავთ.

● ქაიროში სტუმრად იმყოფებიან ქართველი კალათბურთელები. პირველ მატჩში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები შეხვდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ჩემპიონს „გუზირს“. ანგარიშით 68:59 გაიმარჯვეს ქართველმა სპორტსმენებმა.

● ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა ალექსანდრე მეტრეველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა შორის ბადალი არა ჰყავს.

ლუქსემბურგში გამართულ ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა III ჩემპიონატზე მეტრეველმა ყველა მეტოქე დაჯაბნა და ერთეულთა თანრიგში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თბილისელი სპორტსმენი უძლიერესი იყო შერეულ წყვილთა ასპარეზობაშიც — მოსკოველ მოროზოვასთან ერთად მან ოქროს მეორე მედლით დაიმშვენა მკერდი.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
ამხანაგობაში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ნაბეჭდი 66488

ფასი 6 კაპ.